რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი 29 მაისი 1918 წ.

ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 6 მ. 50 კ., ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 108 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 108

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასრულებელი კომიტეტი ქ. თფილისის ციხეთა დაცვის განსაკუთრებული რაზმისა ღრმა მწუხარებით აუწყებს თავის საუკეთესო ამხანაგის და წევრის ყარაულის უფროსის

კოლა მიხეილის ძის კინწურაშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომელიც ვერაგულად მოკლულ იქნა 25 მაისს. მიცვალებულს გამოასვენებენ დღეს დილის ათ საათზე სახლიდან ცილკანის შესახვევი № 3 (ხარფუხში, ნიკოლოზის ეკლესიასთან) და მეტეხის ციხის აღმართით წაასვენებენ პეტრე პავლეს სასაფლაოზე.

განსაკუთრებული რაზმი ქ. თფილისის ციხეთა დაცვის, ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ თავიანთი ძვირფასი ამხანაგის—ყარაულთა უფროსის

კოლა მიხეილის ძე კინწურაშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომელიც ვერაგრულად მოკლულ იქნა 25 მაისს. ცხედარს გამოასვენებენ დღეს, 29 მაისს დილის 10 საათზე სახლიდან. ცილკნის პერეულოკი № 3 (ხარფუხში ნიკოლოზის ეკლესიასთან) და მეტეხის ციხის აღმართით წაასვენებენ პეტრე პავლეს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი, და სულით დაობლებულნი, ჯავშნიან მატარებლის № 4 60 კაცისაგან შემდგარი კამანდა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობ მეგობრებს, რომ ჩვენ ჯავშნიანზე 8 აპრილს ჩოლოქთან მტერთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულ ამხანაგების

კირილე გოლქვაძე, ანდრო ცეცხლაძე და ბარნაბ გოგუაძის

40 დღის თავზე 30 მაისს ქ. ლანჩხუთში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი დილის 11 საათზე (ახალი სტილით).

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ფოკა გაბრიელისძე გოგუაძე და ფახო გოგიბერიძის ასული გოგუაძისა, ძმები: გაბრიელ და ივანე. დები: აგრაფინა, ქსენია, ოლღა და მაშო. ბიძაშვილები: ალექსანდრე, ლადიკო, ალფესი, ნოე, მელენტი, ნინა და სოფიო გოგუაძენი. ბიცოლა ელისაბედ ქელიძის ასული გოგუაძისა, თავისი რძლებით ელენე და სონიათი. გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ მეგობართ, რომ 8 აპრილს ჩოლოქთან ჯავშნიან მატარებელ № 4 მტრის რეგულიარულ ჯართან შეტაკების დროს გმირულად დაღუპულ

ბარნაბ გოგუაძის

40 დღის თავზე 30 მაისს სოფ. ქანჭათში (გურია) მთავარ ანგელოზის ეკლესიაზე დილის 11 საათზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი.

გულმოკლული დედა მარიამ კინწურაშვილისა, ბებია ხამფერა და ბაბუა გიორგი დიმიტრიძე, დები: ქენია და მარუსა, ძმები: პეტრე და პავლე კინწურაშვილები, ბიძაშვილები: ბესარიონი, სოფიო ვერა სიჭინავები; დეიდა საბედო შიოშვილისა, დეიდაშვილები ნინა ლოლაძისა, ვარა მაჭავარიანისა სიძეები: კოსტა კილაძე და ალექსი მაჭავარიანი, ნათლია მეუღლითურთ ამბაკო და მარგალიტა ნადარეიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის უძვირფასეს

კოლა კინწურაშვილის

ვერაგულათ მოკვლას ქალაქ თფილისში 23 მაისს, რომლის დაკრძალვაც მოხდება პეტრე პავლეს სასაფლაოზე 29 მაისს. გამოასვენებენ საკუთარ ბინიდან ცილკინის შესახვევი № 3 დილის 10 საათზე.

სრულ უფლებიანი ქართული ქალ-ვაჟთა გიმნაზია

ასწავლებელთა კოლეგიისა. მისაღები ეგზამენები დაიწყება 3 ივნისს II, III განყოფილებებში, I, II, III, IV, V და VI კლასებში, თხოვნები მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე დილ. 10—3 საათ.

ალექსეევის ქუჩა № 17, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. (3—1)

თფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს ყველა იმ პირთა საყურადღებოთ, რომელთაც სურვილი აქვთ იყიდონ ქალაქისაგან **ხელოვნური ყინული**, რომელიც მზადდება ქალაქის სასაკლაოებში 500 ფუთამდე ყოველ დღე, შემოიტანონ ამის შესახებ განცხადება.

ყინულის შეძენა შეიძლება პირდაპირ სასაკლაოში, აწოდებენ აგრეთვე ქალაქშიაც, უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა თვითეული პირი ყიდულობდეს არა ნაკლებ 150 ფუთ. ყოველდღე.

პირობის პროექტის გაგება შეიძლება ქალაქის საწარმოო განყოფილების კანცელარიაში (ქ. საბჭოში) ან და სასაკლაოს კანცელარიაში (ნავთლუღში) ყოველ დღე, გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათ. განცხადებები უნდა დაიწეროს თფილისის ქალაქის სასაკლაოთა დირექტორის სახელზე. განცხადების შეტანის უკანასკნელი ვადა არის 1918 წ. 1 ივნისი.

მთავარი კანტორა

„ბორჯომის ექსპორტი“

უშვებს პარტიობით ბორჯომის წყალს

საჭიროა სანდო წარმომადგენელნი

ბორჯომის წყლის პარტიობით შეძენა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ უმთავრეს კანტორის

„ბორჯომის ექსპორტის“ საშვალებით.

უმთავრეს კანტორის დროებით სადგომი: თფილისი, ველიამინოვის ქ. № 3, ვ. ხ. კილაძე.

ფოსტის მისამართი: თფილისი, ფოსტის ყუთი № 37 ვ. კილაძე.

მოლაპარაკება შეიძლება დღის 10—2 საათამდე. ტელეგრამის: თფილისი, „ბორჯექსპორტი“.

დამოუკიდებლობის გამო

საქართველოს დამოუკიდებლობა ბევრათ უფრო ბუნებრივია, ვინემ ამიერ კავკასიის. დემოკრატიისთვის, მართალია, პირველზე უფრო ხელსაყრელი იყო მეორის განხორციელება, რადგან ამ შემთხვევაში მისი ძალების კონცენტრაციისთვის უფრო ფართო ნიადაგი გადაგვეშლებოდა წინ. მაგრამ დღეს ხომ დემოკრატიის დამარცხების ხანაა. დღეს ხომ დემოკრატიის მაღალ იდეალებს და მისწრაფებებს ყოველ მხრივ მაგარ მუჯლუგუნებით უმასპინძლდებიან.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დემოკრატია ჩვენში სუსტი გამოჩნდა არა იმდენათ შინაგან ძალების წინაშე, რამდენათაც გარედან მოსულის.

სწორეთ ამ გარეშე ძალამ დაარღვია ამიერ-კავკასიის მთლიანობა. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ამიერ-კავკასიის მთლიანობას ეპირვებოდა ერთგვარი შეგნება და ერთგვარი შეთანხმება, საქართველოს დამოუკიდებლობას კი თავის ბუნებრივი საფუძველი აქვს. იგი ერთი ერის სახელმწიფოა და ამით იმ მთავარ დებულებას ექვემდებარება, რომელიც კარლ კაუცკის არა ერთხელ აღუნიშნავს: „სოციალ-დემოკრატიის“-თვის ყველაზე უფრო მისაღებია: ერთი ერი, ერთი სახელმწიფო.

რომ ჩვენ ქვეყნის, ამ პატარა საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის შერჩენა შესაძლებელი იყოს, რომ გარშემორტყმული იმპერიალისტური ძალები მას თავის სათამაშო ბურთათ გადაქცევას და ზოგან—სრულიად გასრესასაც არ ემუქრებოდენ, ჩვენ შეგვეძლო და საბუთიც გვექნებოდა ზეიმით და ალტაცებით მივგებებოდით ამ აქტს. თუ ალტაცებას არ ქონდა იმდენი ადგილი დათმობილი—ეს სწორეთ ზემო მოყვანილი საბუთების გამო. შეუძლებელია მხიარულება და თავდავიწყება მაშინ, როცა, მტერი კარზე გადგია და შემუსვრას გიქადის. მე დარწმუნებული ვარ, ბევრი არა კეთილის მოსურნე ამ დუმილსაც და მოწყენილობის ჭავლს თვით საქართველოს დამოუკიდებლობის პრინციპიალურად უარყოფის საფუძვლათ გამოიყენებს. მაგრამ ეს იქნება დემაგოგიური ახსნა ფაქტის, და არა სინამდვილის აღნიშვნა. არა გვგონია, ვისმეს არ სურდეს დამოუკიდებლობა ერის, არ სურდეს შექმნას პირობები მისი თავისუფალი განვითარების, მისი აყვავების და ამ ერის შვილათ იწოდებოდეს.

მაგრამ საქართველოს ახვევია და ბლომათაც ახვევია გარედან მოსული ელემენტები, ისინი, ვინც დღემდე მის ბატონ-პატრონათ გრძნობდენ თავს. მათთვის ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობაც მიუღებელი იყო და მით უმეტეს საქართველოს დამოუკიდებლობას ვერ შეურიგდებოდენ. თუ პირველ დროს კიდევ ქონდათ იმედი, რომ კავშირი ერების დაინგრეოდა და თავის მხრივ ენერგიულათ უწყობდენ ხელს ამ დანგრევას—მეორის შესახებ მხოლოდ ერთი იმედი და შეიძლება ქონდეთ: მის ხელახლა დაპყრობის და დამორჩილების. დიახ, ამიერ-კავკასიის დაშლა შეიძლებოდა, საქართველოს დაშლა კი არა. იგი ერთიანია შინ და გარეთ, მთლიანია თავის ეროვნული შემადგენლობით, კულტურით, ისტორიით, წარსულით, საერთო პოლიტიკური ბედით, ზნე-ჩვეულებით, ენით, სარწმუნოებით. იგი ამ რიგათ ყველა იმ ელემენტებით არის შეკრული, რომელიც მთავარ გამაერთიანებელ ელემენტებს წარმოადგენენ თანამედროვე სახელმწიფოსთვის. მართალია მისი ეკონომიური განვითარება არ უდრის მოწინავე სახელმწიფოების განვითარებას, მაგრამ ერთი ფაქტია: საქართველო წარმოების იმ საფეხურზე დგას, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოებრივ ორგანიზმას შექმნას თხოულობს. იგი ერთიანათ შესულია კაპიტალისტურ წყობილების ხანაში და ცხადია პოლიტიკური ფორმა მისი არსებობის შეიძლება იყოს მხოლოდ თანამედროვე სახელმწიფო.

შეიძლება ვიდავოთ იმაზე, შესაძლებელია თუ არა ეკონომიური ძლიერებით იგი თავისთვის სავსებით გაუძლვეს, როგორც პატარა სახელმწიფო. ცნობილია, რომ ამ მხრით ყველა მეორე ხარისხოვან სახელმწიფოს დიდი ნაკლი აქვს, მაგრამ ამ ნაკლთან ერთათ საქართველოს მოეპოვება დადებითი და საკმაოთ ძლიერი დადებითი მხარეებიც. მდიდარი ბუნება, ზღვის პირის მდებარეობა, ევროპასთან პირდაპირი კავშირის შესაძლებლობა და მაშასადამე შესაძლებლობა თანამედროვე უმაღლესი კულტურის ზიარებისა.

ამიტომ შინაგან ძალებით იგი არასოდეს არ იქნება დარღვეული და დაუძლურებული. პირიქით შიგნით მას აქვს სრული შესაძლებლობა განვითარების, და თუ მის მომავალ ცხოვრებას რაიმე დაბრკოლება მოელის, თუ მას ბედი გასწირავს,—ეს იქნება მხოლოდ გარეშე ძალის გავლენა, უცხო, ტლანქი ხელის ნამოქმედარი.

ამიტომ გასაკვირველათ არ უნდა გვეჩვენოს, თუ ახალი რესპუბლიკა მშვენიერ კოლხიდისა, პირველათ ყოვლისა ეძებს გარეშე გარანტიას თავის არსებობის უზრუნველსაყოფათ.

ეს გარანტია საჭიროა ყოველი მცირე ერისათვის. საჭიროა საქართველოსთვისაც და ამ მხრივ უნდა იქნეს მიქცეული ახალი მთავრობის უმთავრესი ყურადღება.

ოსმალეთის ულტიმატუმი

ამიერ-კავკასიის მთლიანობა დაირღვა, დაიშალა აგრეთვე ამ მთლიანობის ორგანო—ამიერ-კავკასიის სეიმი. მაგრამ სანამ ამ დაშლის ამბავი ოფიციალურათ ეცნობებოდა ოსმალეთს, მან 26 მაისს საღამოს ჩვენს დელეგაციას ბათუმში ულტიმატუმი წარუდგინა და სამი დღის განმავლობაში მისი სისრულეში მოყვანა მოითხოვა. ამ ულტიმატუმის ძალით ოსმალეთი მოითხოვს მთელი რკინის გზის დათმობას ჯარების გადასაყვანათ და აგრეთვე სომხეთის დიდი ნაწილის და საქართველოს ორი მაზრის გადაცემას.

რა პასუხს მიიღებს ოსმალეთი ან მიიღებს თუ არა რაიმე პასუხს, ეს ჩვენ არ ვიცით, რადგან არ არსებობს ის იურიდიული პირი, რომელსაც ოსმალეთი მიმართავს—არ არსებობს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა და მისი საზავო დელეგაცია. მაგრამ არსებობს ამიერ-კავკასიის ნაწილი, რომელმაც იურიდიული სახე მიიღო და თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოაცხადა. ეს არის საქართველოს რესპუბლიკა. ეჭვი არ არის, ოსმალეთი იმავ ულტიმატუმით საქართველოს მიმართავს, თუმცა შესაძლოა, პირდაპირ საქმეს შეუდგეს და ჩვენს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება განაახლოს. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ მოთხოვნილების მთავარი მუხლი—რკინის გზის დათმობა ჩვენს ტერიტორიასაც ეხება: მართალია, ოსმალეთი ითხოვს მხოლოდ ჯარის გადაყვანის ნებას, მაგრამ შეუძლებელია ის მარტო ამით დაკმაყოფილდეს და ფაქტიურათ არ ჩაიგდოს ხელში რკინის გზა. რკინის გზის ხელში ჩაგდება კი გამოიწვევდა ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებით მისი მთავარ პუნქტების ხელში ჩაგდებას. მიუმატოთ ამას ოსმალეთის მოთხოვნა ახალციხის მაზრის გადაცემის შესახებ და ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ჩვენს ქვეყანას გაქრობას უქადიან.

რითი უნდა დავიხსნათ თავი ამ კარზე მომდგარ უბედურებისაგან? ერთს საშუალებაზე თითქმის ერთსულოვნათ მიუთითებენ საზოგადოებრივი ჯგუფები და პარტიები: ეს არის საერთაშორისო გარანტია და პირველ ყოვლისა რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში გერმანიის მფარველობა. მას შემდეგ, რაც რუსეთის რევოლიუცია დამარცხდა, ეს კითხვა თვითონ ცხოვრებამ დასვა ჩვენს წინაშე და გვინდა თუ არ გვინდა, მას ანგარიში უნდა გავუწიოთ. მაგრამ ეს შორეული საკითხია, მანამდის კი მოსალოდნელია ოსმალეთის მხრით თავდასხმა, ყოველ მხრიდან შეტევის განახლება. ახალციხის ფრონტზე დიდიხანია სწარმოებს ბრძოლა და ამ უკანასკნელ დღეებში უფრო მწვავე ხასიათს იღებს. ცხადია, თუ ჩვენ გვინდა განადგურებას გადავრჩეთ, ახლავე უნდა შევუდგეთ თავდაცვის საქმის გაძლიერებას. უნდა გვახსოვდეს, რომ წახდენილი საქმის გამოკეთება შემდეგში უფრო ძნელი იქნება და უმჯობესია ამ თავიდანვე გავიღოთ ყოველგვარი მსხვერპლი, რაც კი თავდაცვისათვის საჭიროა.

პრესა

როლები შეიცვალენ და მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერები, რომლების წარმომადგენელმა ბერიოზოვმა სეიმის უკანასკნელ სხდომაზე ბრუსილოვის სარდლათ დანიშვნა დემოკრატიზმის გამარჯვებათ გამოაცხადა, ინტერნაციონალიზმის ღალატს გვაბრალებს. „ზნამია ტრუდა“-ს 28 მაისის ნომერში მოწინავე წერილი ასე თავდება:

> „გადაისროლა რა ქართველ ხალხში ლოზუნგი „თუ შეგიძლია, თავს უშველე“, სოციალ-დემოკრატიამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა დემოკრატიას, ის მოკვდა, როგორც ინტერნაციონალური პარტია“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავის გადარჩენაზე ზრუნვა არ უნდა იყოს დასაძრახი არც კერძო პირისათვის და მით უმეტეს პარტიისათვის, რომელსაც მთელი ხალხი მიჰყვება. ეს იცის ყველამ, არ იცის მხოლოდ ეს ერების გაზეთმა, რომელიც ნაცად დემაგოგიას განაგრძობს და ამჟამათ სომხის ხალხის უბედურებას უშვება ექსპლოატაციას, ის ცდილობს დაარწმუნოს მრავალ ტანჯული სომხის ერი, რომ სოციალ-დემოკრატიამ მას უღალატა. მოვიყვანოთ გაზეთის სიტყვები:

> „ჩხენკელი მხოლოდ თავის ხალხის სახელით აწარმოებდა საგარეო პოლიტიკას და რომ ოსმალეთის ოზურგეთიდან წინსვლა შეეჩერებია, მან დასთმო ყარსი. საკუთარი ხალხის სიყვარული ცუდი არ არის. ეროვნულ პარტიებსაც აქვთ არსებობის უფლება, მაგრამ რა საჭირო იყო თავის თავის ინტერნაციონალურათ გამოცხადება. ინტერნაციონალურ პარტიას უნდა ესმოდეს, რომ ერთი ერის ფიზიკურ არსებობას გარდა სახეში მისაღებია სხვა ერები, რომელნიც დამღუპველ „ამიერ-კავკასიის“ პოლიტიკის გამო სისხლისაგან იცლებიან“.

ამ რიგათ „მუსავატელ“ რუსტამბეკოვთან ერთად „ზნამია ტრუდა“ პატრიოტობას გვაბრალებს. მაგრამ საყურადღებოა არა ეს, არამედ კონკრეტიული ბრალდება: ჩხენკელმა ყარსი მისცა ოსმალეთს, რომ ამ გზით გურია გადაერჩინა. ჩვენი საქმე არ არის სტრატეგია, შეიძლება შეცდომაც იყო ყარსის გადაცემა. შეიძლება. მაგრამ როცა „ზნამია ტრუდა“ მკითხველებს ეუბნება გურიის გადასარჩენათ სომხები გაჰყიდესო, ეს შეუწყნარებელი პროვოკაციაა. არ ვიცით გრძნობს თუ არა ამას „ზნამია ტრუდა“, მაგრამ ასეთი ყალბი ცნობების გავრცელებით ის დათვურ სამსახურს უწევს სომხის ერს: მის მაგიერ, რომ თავდაცვის სწორი გზა უჩვენოს, გაზეთი ამ ერს ქართველ ერის წინააღმდეგ ამხედრებს.

„ზნამია ტრუდა“ არც ქართველ ერის ოპეკუნობაზე იღებს ხელს. ის სწერს:

> „ქართველ ხალხს არ შეეკითხებიან დამოუკიდებლობის შესახებ, როგორც არ შეკითხებიან მას, როცა სასახლეს წითელ დროშა მოხსნეს. ჩვენ არ ვიცით ამ წუთში ხალხის აზრი, როგორც არ ვიცოდით იმ დროს, როცა ამიერ-კავკასია ხელოვნურათ ჩამოაშორეს რუსეთს“.

ვინც არ იცის ის, თუ რა პირობებში ჩამოშორდა რუსეთს ამიერ კავკასია, რასაკვირველია არაფერი ეცოდინება არც იმისა, თუ რას ფიქრობს ქართველი ხალხი. მაგრამ რას ურევს ხელს ხალხის გულში ეს წასულ ჯარის მიერ არჩეული ჯგუფი? რათ ავრცელებს ყალბ ცნობებს? დროშა ჩამოხსნესო. მართალია დროშა ჩამოხსნეს ერთი წუთით, მაგრამ ჩამოხსნეს ქართველმა შავრაზმელებმა და შემდეგ ის ისევ იქნა აღმართული. განა შეიძლებოდა ასეთი ფაქტებიდან მთელი ისტორიის შექმნა და ეროვნულ საბჭოსთვის გადაბრალება?

ვეკითხებით „ზნამია ტრუდა“-ს ხელმძღვანელებს: როდის აიღებენ ხელს დემაგოგობაზე და ყალბი ცნობების გავრცელებაზე?

მთავრობის ცნობა

ბათუმიდან ა. ი. ჩხენკელმა პირდაპირი მავთულით საქართველოს მთავრობას აცნობა, რომ დეპეშა საქართველოს დამოუკიდებლობაზე მიღებულ იქნა ოსმ. დელეგაციისაგან ულტიმატუმის წარმოდგენის შემდეგ.

26 მაისს ჩხენკელი იყო ხალილ ბეისთან და პირადათ გადასცა მას ოფიციალური ნოტა ამ დამოუკიდებლობაზე და სეიმის და მთავრობის დათხოვნაზე. ულტიმატუმის შესახებ ლაპარაკი არა ყოფილა. ა. ი. ჩხენკელი თფილისში წამოვიდა ახალი დირექტივების მისაღებად, რაც ხალილ ბეის უკვე აცნობა. სამი დღის ვადა კი, მიუხედავათ ა. ი. ჩხენკელის პროტესტისა, მაინც დარჩა ულტიმატუმის პასუხის მისაღებად. მხოლოდ

წინად თუ ამიერ-კავკასიის მთავრობას წარუდგინეს ეს ულტიმატუმი, ეხლა ეროვნულ მთავრობას ეხება და მათ შორის საქართველოსაც. დადგენილია მხოლოდ, რომ ულტიმატუმის ჩაბარება ჩაითვალოს არა მის ჩაბარებიდან, არამედ—ვადა ჩაითვლება იმ დროიდან, რა დროსაც იგი საქართველოს მთავრობამ ჩაიბარა, ე. ი. 27 მაისს სალ. 8 საათ. ამაზე ა. ი. ჩხენკელმა უპასუხა, რომ ულტიმატუმი არ უნდა შეეხებოდეს საქართველოს, რადგანაც მას მოლაპარაკება არა ჰქონია ოსმალეთთან, მაგრამ ეს განცხადება არ იქნა მიღებული ა. ი. ჩხენკელის წამოსვლამ ოსმალებზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ ჰოელიან, რომ საქართველოს დელეგაცია მალე დაბრუნდება ბათუმში ახალი დირექტივებით. როგორც წინად იყო ცნობა, საქართველოს მთავრობისაგან მოითხოვს საქართველოს ტერიტორიისაგან ახალციხის და ახალქალაქის მაზრების ჩამოჭრას. საქართველოს მთავრობა ყოველ ღონეს ილონებს, რომ ახალი საზღვრების დადების საკითხი იარაღით არ გადაწყდეს. მაგრამ მთავრობა აფრთხილებს მცხოვრებთ, შესაძლებელია ოსმალებმა სამხედრო მოქმედება არ შეწყვიტონ. ამიტომ მოუწოდებს მცხოვრებთ წესიერება დაიცვონ და მთავრობის პირველ დაძახებისთანავე ყოველი ღონე იღონონ სამშობლოს დასაცავათ.

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

28 მაისი.

სტამბოლი. პალესტინის ფრონტი. ზღვის ნაპირების მიდამოებში ჩვენს ბატარეიას ძლიერი სროლა აუტეხა მოწინააღმდეგემ. დანარჩენ ფრონტებზე ჩვეულებრივი სროლაა. მდ. იორდანეს რაიონში მოწინააღმდეგის მზვერავი რაზმები უკუვაქციეთ.

მესოპოტამიის ფრონტი. ჩვენი ჯარის მარცხენა ფრთამ დაიკავა კერკუკი. ინგლისელები უკან იხევენ სამხრეთის მიმართულებით. დარდანელთან გაცხოველებული მოქმედებაა ჰაერში მზვერავ რაზმების.

ბერლინი. დასავლეთის ფრონტი. მეტერენის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ ჩავიგდეთ რამოდენიმე ინგლისელი ტყვე. საარტილერიო მოქმედება შუადღის შემდეგ ყველა ფრონტებზე გაცხოველდა.

ბერლინი. ლისასთან, სომის და ავრის ორივე მხრით და ფლანდრიაში გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა. ლაონის სამხრეთით ამ დილიდან დაიწყო ბრძოლა შმენ-დე-ტერთან. ნემეცი კონპრინცის ჯარებმა აიღეს ბერგრუხენი და იბრძვიან ესნესთან.

პარიზი. ძლიერ გაცხოველებული საარტილერიო მოქმედება გრძელდება მეუზის ორივე ნაპირებზე, სენ-მიშელის რაიონში. გერმანელების აგრესიული მოქმედება ფონ-ენ-ხაიში ჩვენ მოვიგერიეთ.

ბაკურიანი. ლტოლვილნი თავიანთ სახლკარს უბრუნდებიან. ოსმალებმა დაიხიეს ძველ პოზიციებზე რუსეთ-ოსმალეთის საზღვრებისკენ სოფ. ყარზახის ახლო. შიშიანობა თანდათან ჰქრება. ოსმალებმა გაძარცვეს ყარზახის მხოლოდ ერთი ნაწილი, სომხებმა ქალაქი.

ახალი ამბები

საქართველოს ეროვნული საბჭო. დღეს, 29 მაისს, შუადღის 12 საათზე, სასახლის თეთრ დარბაზში შესდგება საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. კანდიდატებსაც შეუძლიათ დასწრება.

◆ **პირველი მინისტრი** და შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის დროებით თფილისიდან წასვლის გამო პირველ მინისტრის მოვალეობას შეასრულებს სამხედრო მინისტრი გრ. ტ. გიორგაძე, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობას—კ. გვარჯალაძე.

◆ **მთავრობამ** გზათა მიმოსვლის მინისტრს აცნობა, რომ მან ნება დართო ბ-ნ არაქელიანს და ქ-ბნნ გრიგორიანს და ისტამანოვისას სანაინში წავიდნენ იქიდან 2000 ლტოლვილთა ბავშვების ჩამოსაყვანად.

◆ **დაცვის საბჭომ** 24 მაისის სხდომაზე დაადგინა: ყველა იმ ნაციონალურ ჯარების ნაწილებიდან, რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ თფილისის დაცვაში სამხედრო და სხვა მასალები უნდა გადასცენ წითელ გვარდიის განკარგულებაში. წითელ გვარდიას ევალება ეს დადგენილება სისრულეში მოიყვანოს.

◆ **წარმოდგენა.** ხუთშაბათს 30 მაისს ქართულ კლუბში ქართული ძველი დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ოპერეტა „არშინ მალალან“.

◆ **მუშათა კლუბი.** დღეს, ოთხშაბათს: სამეცნიერო სურათები, განმარტებით, სამხედრო მუსიკა.

◆ **„ჯეჯილი“.** რედაქციამ მიიღო „ჯეჯილის“ თებერვლის ნომერი. ნომერი ჩვეულებრივათ სუფთა და შინაარსიანი გამოცემაა.

◆ **საგანგებო რაზმი.** თფილისის ციხეთა დაცვის და აღმასრულებელი კომიტეტი ამავე რაზმისა აუწყებს ამხანაგებს, რომ დღეს, 29 მაისს გამოასვენებენ და მიწას მიაბარებენ ვერაგულად მოკლულ ამხანაგის, ყარაულის უფროსის კოლა კინწურაშვილს. ცხედარს გამოასვენებენ დილის ათ საათზე სახლიდან (წილკანის შესახვევი № 3) და მეტეხის აღმართით წაასვენებენ დასაკრძალავად პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

შეცდომის გასწორება: გუშინდელ ახალ ამბავში სწერია: ვალერიან ზაქარიაძისაგან მიიღო რედაქციამ და სხ. უნდა იყოს: ვალერიან ზაქარაძისაგან და სხ.

◆ **კრება.** 29 მაისს საღამოს 6 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია მუშათა და ჯარისკაც. დეპ. აღმასრულებელი კომიტეტის კრება.

ქალაქის საბჭო

(27 მაისის სხდომა).

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

თავმჯდომარე აცხადებს დღიურ წესრიგს. შემდეგ მოხსენებას აკეთებს სეიმის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ და ამბობს: მოქალაქენო, ხმოსნებო! ნება მომეცით მოკლეთ დაგისურათოთ ის, თუ რა მოხდა გუშინ.

ალბათ თქვენ ყველას გეცოდინებათ ის, რომ გუშინ, 26 მაისს სასახლეში ადგილი ქონდა ორ დიდ მნიშვნელოვან აქტს. პირველი სეიმის მიერ თავის რწმუნებაზე და არსებობაზე უარის თქმა იყო და დაშლა, მეორე-კი საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადება.

ამიერ-კავკასიის სეიმი, რომელშიაც ფართე მასსა დიდ იმედებს ამყარებდა, დაიშალა, ვინაიდან უპასუხისმგებლო ჯგუფების მოქმედებით შეიქმნა ამიერ-კავკასიის ერთა შორის ინტერესების წინააღმდეგობა, ერთსულოვნობა დაიშალა და დემოკრატიის სურვილების წინააღმდეგ დაინგრა მთლიანობა ამიერ-კავკასიისა. ეს ინტერესთა წინააღმდეგობა, ერთა მთლიანობის დარღვევა განსაკუთრებით ბათუმში გამოაშკარავდა: იქ ჩვენს ოფიციალურ დელეგაციის გვერდით გაჩნდენ რამოდენიმე სხვა დელეგაციები მუსულმან მცხოვრებთა მიერ გაგზავნილი და დაუწყეს ოსმალეთის დელეგაციას რწმუნება, რომ ისინი არიან ჭეშმარიტი წარმომადგენელნი ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა უმრავლესობის. ამ უპასუხისმგებლო დელეგაციას ხელმძღვანელობდა ექიმი სულთანოვი, რომლის სიტყვას უფრო მეტი გავლენა ჰქონდა, ვიდრე ოფიციალურ დელეგაციას. თავის თავად გასაგებია, რომ ამ კერძო დელეგაციების გამოსვლამ ჩვენი ოფიციალური დელეგაციის ავტორიტეტი დასცა და მას მოესპო საშვალება მთლიანი ამიერ-კავკასიის სახელით ელაპარაკა. მოწინააღმდეგემ კერძო დელეგაციების გამოსვლით ხელთ იგდო ზედმეტი საბუთი და თავისი მოთხოვნილებები გააფართოვა. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ამიერ-კავკასიის მთლიანობაზე ლაპარაკი შეუძლებელი იყო. აი ასეთ კრიტიკულ დროს სეიმის ერთ-ერთ ფრაქციამ მიიღო თავის თავზე ინიციატივა სეიმის წინაშე დაესვა საკითხი ასე: სურს თუ არა მას ასეთ პირობებში არსებობა და თუ არ სურს, უნდა სთქვას თავის არსებობაზე უარი. ამ ფრაქციამ წინადადება მისცა სეიმის წევრთ ეძიათ ახალი გამოსავალი გზა, გაეკეთებიათ ახალი კომბინაციები. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ ამიერ-კავკასიის სეიმმა, საკანონმდებლო ორგანომ თავის რწმუნებაზე უარი სთქვა და დაიშალა.

მეორე აქტი, ეს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადებაა. თავმჯდომარე კითხულობს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. ეროვნული საბჭოს დადგენილებით სანამ შეიქნებოდეს საკუთარი ფულის სისტემა, საქართველოს სახელმწიფოში ხმარებაში იქნება ძველი ფული. აგრეთვე დროებით ძალაში რჩება ყველა ის კანონები, რაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში მოქმედობდა.

აი, მოქალაქენო, ხმოსნებო, ის აქტი, რომელიც გუშინ სეიმის დაშლის შემდეგ მიიღო და გამოაცხადა საქართველოს ეროვნულ საბჭომ. ამ აქტის ძირითად დებულებებიდან დაინახავთ თუ რა პოლიტიკას ადგია საქართველოს რესპუბლიკა სხვა უმცირესობით წარმოდგენილ ერთა მიმართ, აქედან ნათლათ სჩანს, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ყოველი მოქალაქე ისარგებლებს თანასწორი უფლებით, მეექვსე მუხლი აქტისა პირდაპირ ამბობს: **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.**

აქედან აშკარაა ამ ნორჩი სახელმწიფოს პოლიტიკა სხვა ერთა შესახებ. აი ყველაფერი ის, რის თქმაც მინდოდა.

იშკოვს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით შეაქვს შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება საბჭოს თავმჯდომარისა, საბჭო აცხადებს, რომ ქალაქის საბჭო მიესალმება საქართველოს რესპუბლიკას და საყოველთაო კენჭის ყრით არჩეული საბჭო აღუთქვამს მის ახლად შექმნილ მთავრობას, რომ ყველა მის ნაბიჯებს, რომლებიც იქნება დემოკრატიის იდეალების განსახორციელებლათ გადადგმული, მხარს დაუჭერს. აგრეთვე მოუწოდებს მცხოვრებთ შემოკრიბონ მთელი მათი ძალა თავისუფლების და რევოლიუციით მონაპოვრების ღირსეულად დასაცავად.

ხუდადოვი (ს.-რ.) წინააღმდეგია ს.-დემოკრატების მიერ წამოყენებულ რეზოლიუციის. მოითხოვს მოხსენების მოსმენის შემდეგ პირდაპირ მორიგ საკითხებზე გადასვლას.

ხატისოვი (დაშნ.) სომხის დემოკრატიისათვის საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადება მოულოდნელათ მოხდა. ჩვენ ამის შესახებ მხოლოდ გუშინ გავიგეთ, ამიტომ საშუალება არ გვქონდა მომზადებულათ შევხვედროდით ამ საკითხს, ჩვენ მხარს დავუჭერთ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკასა იმდენათ, რამდენათ ის დემოკრატიის ინტერესების დამცველი და გამომხატველი იქნება.

გრუზენბერგი. ებრაელთა სახელით ესალმება საქართველოს რესპუბლიკას და ამბობს: ჩვენ ებრაელები აღფრთოვანებით მივესალმებით საქართველოს რესპუბლიკას, რომელიც განხორციელებაა რევოლიუციის ერთ უდიდესთაგანი ლოზუნგის—ერთა თვითგამორკვევის. ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ის ერი, რომელმაც მისცა კაცობრიობას საუკეთესო მებრძოლნი დემოკრატიის ინტერესებისათვის, არ მოკვდება და სხვა ერსაც მეგობრულად ხელს გაუწვდის გაჭირვების დროს. ჩვენ ქართველებთან მუდამ კარგათ ვგრძნობდით თავს, ახლაც ჩვენ ვრაცხთ ჩვენ თავს საქართველოს რესპუბლიკის განუყრელ ნაწილად და ყველა ჩვენს ღონეს მოვახმართ ქართველებთან ერთად ამ ნორჩი რესპუბლიკის დაცვას.

საბჭომ ხმის დიდი უმეტესობით მიიღო იშკოვის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია.

თავმჯდომარე აცხადებს ოსმალების ულტიმატუმს, რომელიც მათ გამოუგზავნეს ყოფილ დელეგაციის ყოფილ თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელს. ულტიმატუმის წარმოდგენის შემდეგ ოსმალეთი მოითხოვს, რომ მას შეუერთდეს შემდეგი ტერიტორია: ნახიჩევანის მაზრა (გარდა ორდუბათისა და მის მოსაზღვრე მცირე ხაზისა). შარულ დარალაგეთის მაზრის ნახევარი, ერევნის ნახევარი გუბერნია (ქ. ერევანი სომხეთის ფარგლებში რჩება). სურმალინის მთელი მაზრა, ეჩმიაძინის თითქმის მთელი მაზრა განჯის გუბერნიის დიდი ნაწილი ქალაქ განჯათი და მთელი ახალქალაქის და ახალციხის მაზრები. აგრეთვე მოითხოვენ ჯარის გადაყვანას ყველა რკინის გზებზე. ულტიმატუმზე პასუხს 3 დღის განმავლობაში მოითხოვს.

ხუდადოვი: როგორც დავინახეთ, ულტიმატუმი 3 დღით არის წარმოდგენილი. ის ეკითხება თავმჯდომარეს, რომ, როცა ამიერ-კავკასიის მთავრობა არ არსებობს, ვინ უნდა გასცეს პასუხი ოსმალეთის მთავრობას.

თავმჯდომარე: მე ამაზე დანამდვილებით ვერ გიპასუხებთ, მხოლოდ ვიტყვი, რომ ჩემის აზრით, იმ ტერიტორიაზე, სადაც გამოცხადებულია საქართველოს რესპუბლიკა, პასუხს გასცემს და დაიცავს ქართველი ერი, დანარჩენ ტერიტორიებზე ნაციონალური საბჭოები მოახდენენ განკარგულებას.

სომხის ეროვნული პარტიის წარმომადგენელი კითხულობს: შედის თუ არა ახალციხის მაზრა საქართველოს საზღვრებში და საქართველო გამოცხადებულია თუ არა გერმანიის პროტექტორატის ქვეშ?

თავმჯდომარე. რასაკვირველია, ახალციხის მაზრა საქართველოს ნაწილია, მხოლოდ რაც შეეხება მეორე შეკითხვას—გერმანიის პროტექტორატის შესახებ, ჩემის აზრით, დამოუკიდებლობის აქტის წაკითხვის შემდეგ ეს შეკითხვა უადგილოა, ვინაიდან დამოუკიდებელ რესპუბლიკაში პროტექტორატზე ლაპარაკი შეუძლებელია.

ხემიონოვი (კადეტი). გამოსთქვამს სურვილს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღოს ინიციატივა თავი მოუყაროს ყველა ნაციონალურ საბჭოებს და საერთოდ შეიმუშავონ ულტიმატუმის პასუხი.

ქალაქის თავი **ნ. ელიავა.** ყველა იმ კითხვებზე, რომელსაც აქ თავმჯდომარეს აძლევენ, პასუხის გაცემა მას არ შეუძლია და არც არავის ჩვენთაგანს შეუძლია დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცეს ყველას, აქ არ არის საჭირო გარჩევა ამ საკითხების, თავისთავად ცხადია, რომ ახლა საფრთხე მეტი მოგველის, ვინემ სხვა დროს და თავდაცვა გაძლიერებულ უნდა იქნას, ამას, რასაკვირველია, სადაც მთავრობაა—მთავრობა მოიმოქმედებს, სადაც მთავრობა არაა, იქ ნაციონალური საბჭოები.

მიღებულ იქნა სემიონოვის სურვილი ნაციონალური საბჭოების საერთო კრების ულტიმატუმზე პასუხის გასაცემათ და თავდაცვის საკითხის გასარჩევათ. გამგეობის წევრის კოზეევის მოხსენების შემდეგ საბჭომ დაამტკიცა გამგეობის პროექტი, რომ პროფესიონალურ კავშირებს მიეცეს 8000 მან. წერა-კითხვის სკოლის შესანახათ.

საბჭო ამტკიცებს აგრეთვე საბიუჯეტო და საფინანსო კომისიების და ქალაქის საერთო სხდომაზე გამოტანილ დადგენილებას, რომ სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელ დალაქიშვილის ოჯახს, რომელიც მოკლულ იქნა მოვალეობის ასრულების დროს და რომელსაც ქალაქის მცხოვრებთა სასარგებლოთ დიდი შრომა მიუძღოდა, მიეცეს ერთდროულ დახმარების სახით 15,000 მ. საბჭომ აგრეთვე გაარჩია რამოდენიმე სხვა კითხვები და ღამის 11 საათზე სხდომა დაიხურა.

აკ. ხ—უა.

მუშათა წერილები

ჩვენი იდეა არ დამარცხდება.

მუშათა კლას როგორც ასეთს და ჩვენს რესპუბლიკანურ ქვეყანას მწარე განსაცდელი უმზადდება გადასატანათ.

თავისუფლების, სიყვარულის, ძმობის, ერთობის წითელი დროშა, მუშათა კლასის სისხლით შეღებული, ჩვენი ქვეყნის არე-მარეში ბრძოლით აფრიალებული, რომელმაც ყველა ჩაგრულნი—ღარიბ ღატაკნი სიხარულით—სიყვარულით მომავალს იმედით შეუყურებენ, აი ამ დროშას, მის ღირსეულ დამჭერს, მუშათა კლასს და მის ირგვლივ შემოკრებილ ფართე მშრომელ დემოკრატიას—საბედისწერო საფრთხე უმზადდება გარეშე მტრისაგან.

ჩვენი ქვეყნის ცენტრს ქ. თფილის ამ რევოლიუციონურ გულს ქვეყნისას, შორიდან ქურდულათ უახლოვდება მტერი, უკვე მოისმის მტრის ჯარის ფეხის ხმა ქვეყნის დასაპყრობად, დემოკრატიის გასათელავად, მისი საკაცობრიო წითელი დროშის დასაცემათ. მტერი გარეშე დაუნდობელი, რომელიც მოდის მახვილით ხელში ჩვენთვის ჩასაცემათ, აი ასეთ დროს უკვე იცვლება სამხიარულო დღეების წითელი ორიზონტი დემოკრატიისა და თითქოს გრძნობს დემოკრატია, რომ მზადდება გესლით და შხამით მოწამლული ატმოსფერა შინაური მტრებისაგანაც, რევოლიუციის მიერ დათრგუნვილი კლასებისაგან. წელში ოთხათ მოკეტული რევოლიუციის მიერ ხალხის მტრები, გაბატონებული კლასები, წოდებები, თვითმპყრობელობის დროს მტკივან მუწუკათ ამოსულნი ხალხის ზურგზე, უკვე გრძნობენ გარეშე მტრის მოახლოებას და წელში იმართებიან; სახე მოღუშულნი, დაღვრემილნი იყვნენ ისინი ამ თუთხმეტი თვის რევოლიუციის გამავლობაში. დღეს კი ფერი იცვალეს, სიხარულის და ნეტარების მოახლოებას გრძნობენ. სიცილ-ხითხითით, კმაყოფილების კილოთი აღნიშნავენ მტრის მოახლოვებას, მათ მიერ დემოკრატიის გათელვას, რესპუბლიკის დამხობას. დღეს, დემოკრატიის მტრები, აღარ მალავენ თავის განზრახვებს და მეტათ კმაყოფილნი სიტყვით თუ კალმით ბრალს აქით გვიყენებენ—თქვენ დალუპეთ ქვეყანაო და სწორეთ ჩვენს დანთხეულ სისხლზე, ძვლებზე იდღესასწაულონ თავის გამარჯვება და ქუჩაში თუ სახლში, საზოგადო დაწესებულებებში თუ სავაჭროებში, ტრამვაის ვაგონებში თუ მატარებელში, გაზეთებში და კრებებზე გაბედულათ, აშკარათ ლაპარაკობენ დემოკრატიის გასაგონათ, საგრძნობლად: თქვენი დღეები დათვლილია, ჩამოდექით, ჩვენ მოვდივართ, გზა მოგვეცითო, დიახ ისინი მოდიან დღეს. გარეშე ძალაზე დამყარებულნი, ყველა ერთად ჩვენს დემოკრატიის წინააღმდეგ საპარპაშოთ, რევოლიუციონურ ხალხზე მონობის უღლის დასადგმათ, ამას დემოკრატიაც კარგათ გრძნობს, მაგრამ ვინ იცის ბრძოლის დროს ვისი ბედი როგორ გადაწყდება და ვინ გაიხარებს ბოლოს. და თუ ბედმა გვიღალატა გარეშე მტრების გამარჯვებასთან, თქვენც გაიმარჯვეთ, თუ ჩვენი დემოკრატიის ბედის ჩარხმა უკუღმა დაიწყო ტრიალი, მაშინ ალბათ მოხვალთ გამარჯვებულნი გარეშე და შინაური მტრები დემოკრატიის გასათელავად, თავისთვის კი სამხიარულო საზეიმო მეჯლისის გასამართავად. მაგრამ ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, თქვენ მიერ მოტანილს მონობის უღელს არც ისე ადვილად დავიდგამთ კისერზე, როგორც თქვენ ფიქრობთ, ოცნებობთ. ჩვენმა ხალხმა ასი წელიწადი აიტანა ტანჯვა მტარვალობის მონობის ქვეშ, მაგრამ ბოლოს შესძლო დაემსხვრია, არარათ ექცია იგი. მუშათა კლასს ვერ უძლებს ვერც ბორკილები, ვერც რკინის სალტე მონობისა და მით უმეტეს ვერ ჩააბრჩობთ თქვენ და თქვენი მეგობარი—ჩვენი კი გარეშე მტერი.

ამხ. მუშებო, ღარიბ-ღატაკნო, შრომის გამო წელში ოთხათ მოხრილნო!

თუ ბედმა გვიმტყუნა, თავისუფლების წითელი დროშა ძირს დასცეს, რესპუბლიკანური ქვეყანა ჯოჯოხეთად აქციეს, თქვენი გული მახვილით დასერეს, მაშინაც გახსოვდეთ, რომ მაინც თქვენ ხართ და მხოლოდ თქვენ ქვეყნის შემქნელნი, ქვეყნის მომავალის ბედის გამომჭედი, დამარცხებაშიაც უკვდავი და საბოლოოთ უძლეველი ძალა ამა ქვეყნისა. თუ თქვენი დაკოდილი გული დამარცხების შემდეგ სევდამ მოიცვა, სასოწარკვეთილებამ შეგიპყროთ, მაშინ გაიხსენეთ, რომ ჩვენი, მუშათა იდეა არ მოკვდება, არც მომკვდარა, მას ვერ დათრგუნავს ვერც ხიშტები, ვერც ბორკილები; იდეა წინ მიდის, შეუჩერებლივ. ჩვენი საკაცობრიო იდეის მსვლელობის შებორძიკება შეუძლია უხეშ ძალას მხოლოდ დროებით, მაგრამ მისი სამუდამოთ მოსპობა, მთლად დადუმება კი ამა ქვეყნათ არავის არ ძალუძს.—

—„იდეა გაიმარჯვებს“. ისტორიამ იცის მუშათა კლასის დამარცხებაც, მარა მისი ბრწყინვალე გამარჯვებაც და შორს არ არის ის დღე, როდესაც დაჰკრავს საერთაშორისო პროლეტარიატის ძლიერი ხმა საყვირისა, სოლიდარობისა, კაპიტალის ბატონობის დასამსხვრევათ, მაშინ ჩვენც მზად ვიქნებით, უფრო შეგნებულნი, შეკავშირებულნი და საერთაშორისო პროლეტარიატის ხმას, მოწოდებას შეუერთებთ ჩვენს ეხლა სუსტ ხმას და მოძმე მუშებთან ერთად იერიშს მივიტანთ, დავამსხვრევთ ბორკილებს, მოვიშორებთ ამ ქვეყნის ზედმეტ მუწუკებს, ბატონებს, და [illegible] ცემულ წითელ დროშას [illegible] ადამიანათ, მოვსპობთ ჩაგრულს და დამჩაგვრელებს, ქვეყნათ დავამყარებთ ძმობას, ერთობას და სიყვარულს.

უკვე მოისმის საერთაშორისო პროლეტარიატის გუგუნის ხმა, იძაბება ძალა პროლეტარიატისა, მართალია მუშათა კლასს ტყვიით უმასპინძლდებიან ჯერ-ჯერობით, მაგრამ დაჰკრავს საათი საბედისწერო ხალხის მტრებისა, მაშინ არ გასჭრის არც ტყვია, არც ყუმბარა და დაიმსხვრევა კერპები ამა ქვეყნისა, გაიმარჯვებს მუშათა კლასი, მისი იდეა. ჩვენში დაემხობიან დღეს საზეიმოთ გამზადებული გაბატონებული კლასები, მანამდის კი ამხ. მუშებო, ვიმუშაოთ, ვიმოქმედოთ ძველი ნაცადი გზით, გავაძლიეროთ, გავამტკიცოთ მეტი შეგნებით, მომზადებით ჩვენი კავშირი, ორგანიზაციები და საერთაშორისო პროლეტარიატის შეგნებულ რაზმთან ერთათ შეგნებულად გავყვეთ პროლეტარიატის კლასიურ გზას და როდესაც დაჰკრავს საათი პროლეტარიატის აღდგენისა, ჩვენც მზათ ვიყოთ, სოლიდარული ძმობით დავუჭიროთ მხარი.

აკ. პლებეიშვილი.

ისტორიული დღე

(შთაბეჭდილებანი).

ამიერ-კავკასიამ არ იცის ისეთი დიდი ისტორიული დღე, როგორიც იყო 26 მაისი.

ამ დღეს დაიშალა ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია; ამიერ-კავკასიის სეიმმა თავი დათხოვნილათ გამოაცხადა.

ამ დღესვე შესდგა ახალი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია—საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთ აღიარა.

დილიდანვე შევამჩნევდით, რომ დღეს დიდი პოლიტიკური აქტი უნდა გამოცხადებულიყო, აქა-იქ ფართე მასსაში დაჟინებით გაისმოდა ხმები: „დღეს სეიმის უკანასკნელი სხდომა იქნება“, „დღეს სეიმმა უნდა მოათავოს თავისი მუშაობა და ისტორიას ჩაბარდეს“... ათას გვარ აზრს იწვევდა ეს ხმები ხალხში. ერთნი ამბობდენ: „მთავრობამ გადასწყვიტა მტერს დაემორჩილოს და თფილისს უბრძოლველათ სტოვებსო“; ზოგი იჩქარის ამხანაგს ახალი ამბავი ამცნოს: სეიმის ნაცვლათ საქართველოს მთავრობა შესდგება და დამოუკიდებელ საქართველოში რეგენტათ გერმანიის პრინცი დაინიშნებაო. და თვითეული თავისებურათ ხსნის და ასაბუთებს მომენტის მოთხოვნილებას.

პირველ საათზე იხსნება სეიმის სხდომა სასახლის თეთრ დარბაზში. ზოგიერთ წევრებს პირზე კმაყოფილების ღიმი უკრთის... სხვების სახის გამომეტყველება ნათლათ მოწმობს იმას, რომ დღეს მოხდება რაღაც დიდი, რაღაც სერიოზული, რომელზედაც მოქალაქე ვალდებულია ღრმათ ჩაფიქრდეს და არ მიეცეს მჩატე ღირებულების სიხარულს...

მოკლე რიგი ორატორებისა... ტრიბუნაზე ირ. წერეთელი სდგას. იგი ეხება შექმნილ მდგომარეობას, ეხება დემოკრატიის ბრძოლის ისტორიას, მის სისუსტეს იმპერიალიზმის წინაშე... დღეს დემოკრატია იძულებულია გადადგას კიდევ ახალი ნაბიჯი, იძულებულია თავისუფლება საქართველოს საზღვრებში შემოფარგლოს... სეიმი თავს დაშლილათ აცხადებს...

გავიდა ნახევარი საათი. ამავე დარბაზში იკრიბება ეროვნული საბჭო... დარბაზში ქართული ეროვნული დროშა ფრიალებს. შესაძლებლობის ფარგლებში კრებას საზეიმო ხასიათი აქვს. საბჭო ერთხმათ იღებს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს...

სასახლის წინ მოედანი, გოლოვინის პროსპექტი გაჭედილია ხალხით... ყველგან ეროვნული დროშა ფრიალებს...

ხედავ ყველაფერს ამას და გული სევდით გევსება: რატომ ეს არ ხდება ისეთ ისტორიულ მომენტში, როდესაც ეროვნული [illegible] ცნობა ყოველ მხრივ უზრუნველყოფილი იყო... რატომ არის, სამწუხაროთ, ეს მოვლენა დემოკრატიის უკან დახევის შედეგი და არა მისი გამარჯვების?

გინდა ირწმუნო, რომ ეს დღე დიდებული ეროვნული დღეა; რომ დღეს მოხდა ერის თვითგამორკვევა... მაგრამ შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია არყევს ამ რწმენას... ღრმათ ჩაფიქრებული გადასძახის ერს წერეთელი: „დამოუკიდებლობის გამოცხადება ადვილი იყო ჩვენთვის; იგი თითქმის შეგვთავაზეს ჩვენ, მაგრამ საქმე მისი შენარჩუნებაა. მის ირგვლივ მტრები სდგანან...

შეიძლება, ბევრი შენატროდა ამ წუთს, შეიძლება, ბევრი მაღალ ეროვნულ იდეებით გამსჭვალული ავათმყოფურის მოუთმენლობით ელოდა იმ მომენტს, როდესაც ამიერ-კავკასიის მთლიანი დემოკრატიული ფრონტი დაიშლებოდა და ნაცვლათ ეროვნული ერთეულები შეიქნებოდა... მაგრამ დემოკრატიული ამიერ-კავკასია ვერ ისურვებდა ამას; პირიქით, იგი ნათლად გრძნობდა, რომ ძალა ერთა მჭიდრო, სოლიდარულ კავშირშია და მთელი თავის ენერგიას მთლიან დემოკრატიულ ფრონტის გაერთიანებას ანდომებდა.

და არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ეს ისტორიული აქტი პირდა-

პირი შედეგია დამარცხების, რომელიც განსაკუთრებულმა პირობებმა მოამზადა.

იმპერიალიზმის მძლავრი იერიშების წინაშე ამიერ-კავკასიის დემოკრატია, მისი ავანგარდის —ს.-დ. პარტიის სახით იძულებული გახდა თავისი მოწინავე პოზიციები დაეტოვებია და რევოლიუციისათვის უკანასკნელი საყრდნო, უკანასკნელი ნავთსაყუდელი მოეძებნა. შეიძლება ვერც ამ ნავთსაყუდელმა იხსნას რევოლიუცია; შეიძლება იმპერიალიზმის ტალღებმა აქაც ნაფლეთებათ აქციოს თავისუფლების ხომალდი; შეიძლება დემოკრატიამ ვერც ამ დამარცხებათა ფასით იხსნას ფიზიკური არსებობაც კი თუნდაც მხოლოდ ქართველი ერისა... მაშინ საბოლოოთ დამარცხებული იგი იტყვის, რომ მან სცადა ყოველგვარი ზომები, დიდიდან პატარამდე, მოახდინა ყველა მინიმუმ გარანტიებით მაინც უზრუნველყოფილი „ექსპერიმენტები“, რათა თავისი არსებობა და თავისუფლება შეენარჩუნებია...

თუ ერთ მხრივ ეს იძულებითი ნაბიჯი ცოტათი მაინც არის იმედებს ჰბადებს არსებობითი შესანარჩუნებლათ,—მეორე მხრივ იგი სამწუხარო დამარცხების აღიარებაა.

ქართველმა დემოკრატიამ უნდა შეიგნოს მომენტის მთელი სირთულე და ამ უკიდურეს განსაცდელის დროს, როდესაც მისი ფიზიკური არსებობაა ქარტაზე დაყენებული, გაასკეცებულის ენერგიით უნდა შეებრძოლოს როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებს და ამით თავისი დამოუკიდებელ არსებობას რეალური ბაზა ჩაუდგას. „ადვილია დამოუკიდებლობის გამოცხადება; საქმე მისი შენარჩუნებაა“.

და როდესაც მუშათა კლასი შესძლებს თავისი ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას—იგი კვლავ ძმურს ხელს გაუწოდებს მეზობელ ერებს, კვლავ მათთან შევა ძმურ ინტერნაციონალურ კავშირში და მედგრათ გასწევს თავის მიზნის, ძმობა ერთობის სამეფოსაკენ!..

ემ—ჩენ.

კავკავის ამბები

24 მაისს კავკავიდან ჩამოვიდა ერთი ჩვენი ამხანაგი, რომელმაც შემდეგი გვიამბო:

კავკავში ჯერ-ჯერობით სიწყნარეა. მართალია, არის საღამოობით სროლა ქუჩებში, მაგრამ თვით მცხოვრებლები იცავენ წეს-რიგს. წითელი არმიელები ისევ ძველებურათ მოქმედებენ. უწესოებას უფრო წითელი არმიელები ახდენენ, ვინემ სხვა. საერთოთ კავკავი ჯერ-ჯერობით არ არის მათლათ ანარქიის ქარცეცხლში გახვეული. ტრამვაის მიმოსვლა განახლდა, რადგანაც გროზნის გზა გაიხსნა და მიმოსვლა განახლდა. დღეს გროზნის გზით დიდძალი სათბობი მასალა შემოდის როგორიც არის ბენზინი, ნავთი, მაზუთი და სხვა.

ტრამვაი მუშებმა ჩამოართვეს ქალაქს; ქალაქის თვითმართველობაში მომუშავე მუშები, რომლებიც უფასოთ სარგებლობდენ ტრამვაით, ტრამვაის მუშებმა ეს უფასო ბილეთები მოუსპეს, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია ტრამვაის მუშებსა და ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა შორის. კავკავში დღეს იმყოფება ერთი ცხენოსანი პოლკი. საინტერესო არის ის, რომ ამ პოლკის ვინაობა საიდუმლოებით არის მოცული. როდესაც ეს პოლკი ჩამოვიდა კავკავში შეიარაღებული, სახალხო კომისართა საბჭომ ამ ცხენოსან პოლკს იარაღი აჰყარა და შემდეგ იარაღები დაუბრუნეს და ამ პოლკს ახლა მეტის პატივისცემით ეკიდებიან. რადგანაც საიდუმლოებით იყო მოცული ამ პოლკის ვინაობა ამან ხალხში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ზოგი ამბობდა: კორნილოვის ჯარების ნაწილი არისო, ზოგი ამბობდა: გერმანიის ჯარები არისო, ზოგი კი კაზაკებიო. ერთი სიტყვით, ამ პოლკის ვინაობის საიდუმლოთ შენახვა ეხლაც ტარდება. როდესაც ეს პოლკი ჩამოსულა კავკავში, მათ მრავალი საქონელი ჩამოუტანიათ, როგორიც არის პურის ფქვილი, ქერი, საპონი, სპიჩკა და მოროზოვის მიტკლები, რომლებიც ძრიელ იაფ ფასებში დაურიგებიათ და ხალხი მოუმადლიერებიათ.

დღემდე ძველი ლარსიდან ინგუშები იცავდენ კავკავამდე საქართველოს სამხედრო გზას და მგზავრებიც უზრუნველი იყვენ კავკავში წასვლით.

მართალია, ინგუშები თითო ფურგუნზე 3 მანეთიდან 5 მანეთამდე ახდევინებდენ ფურგუნის მეპატრონეთ, რადგანაც ჩვენ ჯამაგირი არ გვეძლევა და ისე ვიცავთ ამ გზასო, ცოტა სახარჯო უნდა ავიღოთო და ამით იმართლებდენ ინგუშები თავს. ამის გამო ვიღაცებს საჩივარი განუცხადებიათ სახალხო კომისართა საბჭოში, რომ ინგუშები 3—5 მანეთს ახდევინებენ ფურგუნებს გზაშიო.

ამას მიაქცია სახალხო კომისართა საბჭომ ყურადღება და გზის დამცველ ინგუშებში აურიეს წითელი არმიელები, ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია გზის დამცველ ინგუშებში. „ალბათ, ჩვენ არ გვენდობიან და იმისთვის დაგვინიშნეს ჩვენს გვერდით კიდევ წითელი არმიელებიო“.

მართალი უნდა ითქვას, რომ მარტო ინგუშების დარაჯობის დროს თუ თვეში ან კვირაში ერთი მოხდებოდა სადმე მგზავრის გაძარცვა, დღეს დღეში 10 და 20 შემთხვევა იქნება, რომ გზაში გაძარცონ. რომ შეეკითხებით ინგუშებს: ვინ გაძარცვა მგზავრებიო, გიპასუხებენ: „დღეს თუ ძარცვა-გლეჯა ხდება მგზავრების, ამას ჩადიან მალაროსები ე. ი. ის წითელი არმია, რომელიც აქ დგას გზის დასაცველათ, ეს ასე რომ არის ამას დაგიმტკიცებთ იმით, რომ როდესაც ჩვენ ვიყავით მარტო, არავითარი გაძარცვა არ ხდებოდა გზაშიო“.

როდესაც წითელ არმიელებს შეეკითხებით ვინ სძარცვავს მგზავრებსო, გიპასუხებენ—ინგუშებიო და ასე ამ რიგათ მიმდინარეობს დღეს ძველი ლარსიდან სამხედრო გზის დაცვის საქმე და მგზავრების მიმოსვლა კავკავამდე.

ჯერ-ჯერობით ასეთ მდგომარეობას ყურადღებას არავინ აქცევს და მომავალი დაგვანახვებს, თუ რა ზომებს მიიღებენ მგზავრების უზრუნველსაყოფად.

კავკავისაკენ მრავალი გერმანელი და ავსტრიელი ტყვეები მიდიან. რად მიდიხართ რომ შეეკითხები, პასუხად ამბობენ, რომ ამიერ-კავკასიაში ჩვენი მობილიზაცია გამოაცხადეს და არ გვინდა ამისთვის იქ ყოფნაო.

ნ. ჯიხაიშელი.

ბრძოლის ველზე

ნატანები. 15 მაისს სადგურის მახლობლათ დაბანაკებულმა ჯარის კაცებმა გაიგეს, რომ ბათუმიდან დელეგაციის მატარებელი მოდისო. ჯარისკაცებმა სადგურზე თავი მოიყარეს. სადგურში მატარებელი გაჩერდა; ერთი დელეგატი მატარებლიდან გადმოვიდა, დაუწყეს ამბავის გამოკითხვა: დელეგატებმაც დაწვრილებით ილაპარაკა: თუ თათრის მთავრობა რა მადა გახსნილი ყოფილა ამიერ-კავკასიის დაპყრობაზე და ხალხის დამორჩილებაზე. ბათუმში თათარმა ძალა მოიკრიბა, მაგრამ ისეთი გამხდარი და დასუსტებული ჯარი ჰყავს, რომ თქვენთაგანმა ხუთს რომ ხელი წაავლოს, ხუთივეს დასძლევსო.

დელეგატების გადმოცემულმა სიტყვებმა ზოგნი ჯარისკაცნი აალელვა. ამბობდენ: სირცხვილით რაღა ვსთქვათ, რომ ასეთმა სუსტმა ჯარისკაცებმა დაგვიპყრონო. სჯობს მოვკვდეთ ბრძოლის ველზე, სანამ მათ ქედს მოვუხრიდეთო.

20 მაისს ნატანების სადგურში მოვიდა პოზიციიდან ჯარისკაცი ვარლამ იმნაძე. მან ილაპარაკა: 19 მაისს დილით ვიდექით, მარცხენა ფრთაზე ათი კაცი „პოსტზე“. ტყიდან გამოვიდა ერთი აფიცერი და ორი სალდათი, თოფები თავდაღმა გადაეკიდათ და ხელში გაზეთი ეჭირათ. როცა მინდვრათ გამოვიდენ, ჩვენ გვინდოდა ალყა შემოგვერტყა და დაგვეჭირა. ის ხშირათ გაზეთს აფრიალებდა. როცა შევამჩნიე გაზეთით დაგვიქნია ხელი—მოდითო. მე დავაპირე მისვლა, მაგრამ ამხანაგები არ მიშვებდენ. მე ძალათ გადავწყვიტე წასვლა და ამხანაგებს დავუბარე: თუ წაყვანა დააპირონ არ დამზოგოთ, ისროლეთ-თქვა. როცა მათთან მივედი, მომთხოვა უფროსი და ერთი თარჯიმანი. ჩვენმა უფროსმა დაიბარა ვარლამ კუნჭულია. მომაწოდა პაპიროსი, როცა შემატყო მოწამლის მეშინოდა, მის მხლებელს მისცა და მეც მით დამარწმუნა, რომ საშიშო არ იყო პაპიროსის მოწევა.

ამ დროს მოვიდა თარჯიმანიც და აფიცერმა ღიმილით გადმოგვცა: კონსტანტინეპოლში ისეთი არეულობაა, როგორიც იყო პეტროგრადში ნიკოლოზის ჩამოსაგდებათ. ენვერ-ფაშის ჯარის გარდა ყველა რევოლიუციის მომხრე არისო. მე ვიცი თავისუფლება რა კარგი არისო. მაგრამ ჩვენში ხალხი ბნელი არისო. თქვენ თავისუფალი ხალხი ხართ და არ უნდა ჩხუბობდეთო. ჩვენმა უფროსმა უთხრა: როცა თქვენ თავს გვესხმებით, ჩვენ თავს ვიცავთ, მომხდურს დამხდური უნდაო. რამოდენიმე ბაასის შემდეგ დაგვემშვიდობა და ხვალ კიდევ გნახავთო. გვითხრა: ბათუმიდან ჯარი მიდის უკანვე, აღარ იქნება ჩხუბიო და გაგვშორდა.

ნამდვილათ კი ოსმალები ჯარებს ბათუმიდან ჩვენსკენ გზავნიან, ახალ სანგრებს ამზადებენ, პოზიციებს ამაგრებენ, ჩვენ კი ასეთი ლათაიებით გვიმასპინძლდებიან, რომ ჩვენს ჯარს თავდაცვაზე გული აუცრუონ.

ივაკო გიორგაძე.

გენ. ნაზარბეკოვის მოწოდება

გენერალმა ნაზარბეკოვმა სომხის ხალხს შემდეგი მოწოდებით მიმართა:

„სომხებო! მძიმე მდგომარეობას განიცდის დღეს ჩვენი ერი. საუკუნოებით ოსმალეთის მონობის შემდეგ ჩვენმა ხალხმა შეიგნო, რომ მას აწი არ შეუძლია მონობის ქვეშ ყოფნა და გადასწყვიტა იარაღით ხელში დაიცვას თავისუფლება და ბრწყინვალე მომავალი, ანუ ღირსეულათ მოკვდეს.

დიდის სიძნელით შექმნილი არმია, ზოგიერთი ბნელ ელემენტების მეოხებით გაიხრწნა, დაკარგა აღფრთოვანება და ამას მოყვა დამარცხება ერთი მეორეზე უარესი, ერთი მეორეზე სამარცხვინო. დაწყებული საზავო მოლაპარაკება და დროებითი შერიგება თათრებმა მუხანათურათ დაანგრიეს. მათ არავითარი გაფრთხილება არ მოუციათ ისე დაიწყეს შემოტევა და ალექსანდროპოლი აიღეს. ამან სულ ერთიანათ შეარყია ჯარის სულიერი მდგომარეობა და ჯარმა მიუხედავათ იმისა, რომ მტერი არ მისდევდა, დაიწყო უწესრიგოთ გაქცევა და მტერს დაუტოვა აუარებელი საომარი მასალები. გვეგონა, რომ მტერი განაგრძობდა შეტევას და აიძულებდა სომეხ მცხოვრებთ მოწყვეტილიყვნენ თავიანთ კერას და გამხდარიყვნენ ოსმალეთის მონათ, მაგრამ, ღვთის წყალობით, ერევნის რაზმი, რომელზედაც იერიში მიიტანა, არ შეუდრკა მტრის შემოტევას და თვითონ შეტევაზე გადავიდა და ორი დღის ბრძოლის შემდეგ უკუაქცია მტერი. ერევნის რაზმის გამარჯვებამ იმედის სული შთაბერა ალექსანდროპოლის რაზმს, შესდგა როტები, პოლკები და ბათალიონები, რომლებმაც გადასწყვიტეს მტერს ეძგერონ ან დაიხოცონ, ან გაიმარჯვონ. სამწუხაროთ, საომარი სურსათი და თოფ-პატრონები უკან დახევის დროს მცხოვრებთ ჩაუვარდათ ხელში, სასურსათო საწყობები გაცარცვეს, ბევრი ჯარისკაცი სახლში დაბრუნდა. არმია, რომელიც მიდის ბრძოლაში, უნდა იყოს ჩაცმული, შეიარაღებული.

სომხებო, თუ თქვენ გსურთ გადარჩეს თქვენი ოჯახები, ქონება, თუ თქვენ არ გინდათ უფრო მეტი მონობა, რომელსაც განიცდიან თქვენი ძმები ოსმალეთში, თუ თქვენ არ გინდათ სომხის ერის დაღუპვა, ყველამ, ვისაც ბრძოლის უნარი გაქვთ გამოცხადდით თოფებით, პატრონებით, ვისაც გაქვთ ხუთი დღის სურსათით და დაიცავით სამშობლო, სანამ აქ მოეწყობოდეს სურსათის საქმე, შესწირეთ ჯარს პური, კარტოფილი, და სხვა სურსათი. გახსოვდეთ, რომ ყოველგვარი დაგვიანება დღევანდელ მომენტში დამღუპველია და თუ ჩვენ ახლა ვერ შევძელით დაცვა თავისუფლებისა, მაშინ ღირსი არ ვყოფილვართ საკუთარი ცხოვრებისა და ვაი ჩვენ მაშინ: მომავალი თაობაც წყევლა კრულვით მოგვიხსენიებს ჩვენ. ჩვენ იმედი უნდა დავამყაროთ მხოლოდ საკუთარ ძალებზე და თუ ახლა ვერ შევძელით დახმარების გაწევა, არმიისათვის ხალხით, სურსათით, მაშინ ჩვენ დაღუპულნი ვართ. გახსოვდეთ, რომ მხოლოდ ეხლა შეგვიძლია ბრწყინვალე მომავალი მოვიპოვოთ ბრძოლით, თორემ შემდეგში არც ჩვენ და არც ჩვენი მომავალი თვალით ვერ დაინახავს მას! შემოწირულებები გამომიგზავნეთ საინტენდანტო და საარტილერიო საწყობებში და ადგილობრივ საზოგადო დაწესებულებაში.

სომხების კორპუსის უფროსი გენერალი
ნაზარბეკოვი.

გზა და გზა

XII.

გურიაში.

17 მაისს ლანჩხუთიდან ნიგოითისაკენ გავემგზავრეთ.

ლანჩხუთის სადგურში ჩვენს წინ გაატარეს ტყვე ოსმალო. ის ორმოცი წლის იქნებოდა, ფეხ-შიშველა, სახე გამხდარი, ხელებ დაკოჟრებული, ტანზე ძველი დაფლეთილი, უსუფთაო ტანსაცმელი ეცვა, თავ-შიშველი იყო, თავ-ჩაღუნული, მოწყენილი მოყვებოდა დარაჯებს.

საღამო იყო, როცა ნიგოითში მივედით. მიტინგზე ჩვენს რეზოლიუციას ყველამ მისცა ხმა. მხოლოდ ერთმა დაიჭირა თავი. ეს იყო პირველი შემთხვევა.

სარაიონო კოლექტივის კრებამ ჩვენ შემდეგი სურათი მოგვცა: პარტიული მუშაობა ნიგოითში სუსტია. ორგანიზაციის მთლიანობა შერყეულია. მორიგ საკითხად პარტიის გაწმენდა—რეორგანიზაცია დამდგარა. გამოირკვა, რომ ნიგოითს ნაკლები ყურადღება ექცევა ხელმძღვანელ კომიტეტისაგან. მიწის საკითხი ასე თუ ისე მოუგვარებიათ. წინეთ აქ ყოფილა ვინმე ასკურავა, რომელსაც ერთგვარი დეზორგანიზაცია შეუტანია საზოგადოებაში. თავდაცვის და ბათუმის შესახებ შემდეგი მოგვითხრეს.

— ბათუმის აღებამდე გაიძახოდენ:—„ტყუილია, ბათუმი არავის არ მიაქვს, მენშევიკებს ელანდებათო“. როცა აიღეს, ეხლა კი ამბობენ: —„ბათუმი მაინც თათრების იყოო“.

როგორც ნიგოითში, ისე სხვა სოფლებშიაც ჩვენ მოვისმინეთ ხალხის გულის ნადები.

— „რუსეთს გამოვეყავით, აღარ არის, მარა ინგლისელები რას იტყვიან, არ ეწყინებათ?“

— „ჩვენ მარტო, რას გავაკეთებთ, ჩვენ პატარა ვართ, რას ფიქრობს ჩვენი მთავრობა?“

— „ერთი აღარ არის, მარა თათარს ყველაფერი სჯობია, მიღებულია თუ არა ზომები სხვასთან კავშირისო?“

აი ის შეკითხვები, რომელსაც გვისვამდენ და რომლის შესახებ ამა თუ იმ აზრებს სთხზავენ, ამა თუ იმ სახელმწიფოს ასახელებენ.

რაიონული კოლექტივის კრება ღამე გათავდა. მიიღეს შესაფერი დადგენილებანი.

ღამე ნიგოითში დავრჩით. იქ გავიგეთ, რომ ახალგაზდა აფიცერი იური აროშიძე, რომელიც სხვადასხვა ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა და 8 აპრილს ვაშნარში რაზმს წინ მიუძღოდა უგზო-უკვლოდ დაკარგულა,—არც დახოცილებშია, არც ტყვეებში...

18 მაისს, შუადღეზე ამაღლებაში ვიყავით. ამაღლების სახალხო კრება დამაფიქრებელი იყო. ეს მიტინგი სხვა მიტინგისაგან განსხვავდებოდა... დიდი ნაწილი კრებისა ძაძით მორთული ქალებისაგან შესდგებოდა.

გათავდა მიტინგი და რეზოლიუციას წინააღმდეგ ერთმა მისცა ხმა. საუკეთესო ამხანაგები ბრძოლაშია წასული, ბევრი ამხანაგები დაიღუპნენ, საზოგადოებაში სიწყნარეა. შიმშილი და გაჭირვებაა...

საღამოს ჩოხატაურში მივედით. ჩოხატაურში საერთო მობილიზაციის ცნობა იყო მოსული და ემზადებოდენ.

ღამე ბნელი იყო, ჩვენ სურებისაკენ გავსწიეთ.

19 მაისს სურებში მიტინგი მოხდა. მიტინგის ერთი მცირე ნაწილი ჩვენზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

მიტინგის შემდეგ ხელმ. ორგანიზაციის კრება გაიმართა. აქ აღსანიშნავია ამხანაგების მიერ მოწვდილი შემდეგი ცნობა: სურების გადაღმით არის საპაიჭაოს საზოგადოება, რომელშიაც ამ ბოლო დროს თავი მოუყრია რამდენიმე ათეულ შეიარაღებულ ჯარისკაცებს და „დიქტატურა“ გამოუცხადებიათ. რასაც მოისურვებენ, იმას სჩადიან და გამკითხავი არავინაა... მათ წინააღმდეგ ხმის დაძვრას ვერავინ ბედავს. „ბანდას“ საზოგადოება ტყვეთ ჩაუგდია ხელში.

კერძო თათბირების დროს ბევრი რამ გამოირკვა სურების კონტრ რევოლიუციონერთა „მოღვაწეობიდან“, მაგრამ ამაზე შეჩერება შეუძლებელია.

სურებში ვნახეთ ამხ. პ. რამიშვილი, რომელიც „მინგრელსკი ფორტზე“ იბრძოდა. მან შემდეგი გვიამბო: „ბათუმის დაცემის წინა დღით 6 საათიდან დაწყებული მთელი ღამე ბრძოლა იყო. დილით კი 7 საათზე დაიწყო იერიში ორი მხრიდან. პირველ „ვზვოდზე“, რომელიც სურებლებისაგან შესდგებოდა, პირველ შეტაკებისთანავე მოგვიკლეს ვანო ქ. რამიშვილი, დიმიტრი გ. ჯანელიძე და აკაკი ბერიშვილი. დაგვიჭრეს 5 ტყვიის-მფრქვეველთა მთელი „სასტავი“, რის შემდეგ მიხაკო რამიშვილმა აამუშავა ერთი ტყვიის-მფრქვეველი. როტის უფროსი პარუჩიკი ალშიბაია გმირულათ იბრძოდა. ის იერიშით მოსულ ოსმალთ ხმლით შეეგება და ხელჩართულ ბრძოლაშა ჩაერია. მას ტყვიები დაახალეს. ხმალი თხრილში გადაისროლა და იქვე ჩაიკეცა გულ-განგმირული. 1 საათამდე იერიში მოვიგერიეთ. 2 საათზე კი ჩვენ აღარაფერი გაგვეგებოდა; ტელეფონი აღარ მუშაობდა. კავშირი აღარსაიდან იყო. ჩვენს მახლობლათ დაბანაკებული ორი დამკვრელი როტაც წასულიყო.

სამ საათზე ჩვენ დავინახეთ ბათუმის მხრიდან თეთრი დროშები. ფორტები: „დიდი სამება“ და „პატარა სამებაც“ გაეხსნათ. სამხედრო მოწყობილებით ჩვენი ფორტი ყოველ მხრივ დამაკმაყოფილებელი იყო.

ჩვენ ბევრი მასალები მივიღეთ ბათუმის შესახებ, ბევრი საგულისხმო ბრძოლის ეპიზოდები მოგვითხრეს, ამ ჟამად ძნელია ყველას აღწერა.

საინტერესოა მხოლოდ თფილისიდან წასული გურიის საგანგებო რაზმის ბრძოლა 5 აპრილს მდ. ოჩხამურთან.

ჩვენ ამის შესახებ გვიამბო რაზმის უფროსმა ლ. იმნაძემ, აგრეთვე რაზმის წევრმა არ. ბერამიძემ და სხვებმა.

ამხანაგების გადმოცემა და დამტკიცებული სინამდვილე ასეთია: გურიის საგანგებო რაზმი ნატანებში გაჩერდა. 5 აპრილს, დილის 10 საათზე გენ. მაზნიაშვილის ბრძანებით რაზმის ნაწილი 60 კაცი განსაზღვრულ მიზნისათვის ოჩხამურისაკენ წავიდა პორ. ლ. იმნაძის მეთაურობით. 12 საათზე რაზმი დაუახლოვდა ოჩხამურს. 1 საათიდან კი მტრის ბანაკიდან დაიწყო ზარბაზნების სროლა. ყუმბარები რაზმის ახლო ვარდებოდა, მაგრამ არ სკდებოდა. რამდენიმე წუთების შემდეგ ლიანდაგზე გამოჩნდა ოსმალთა დიდ-ძალი რაზმი. აქ იშლება არა ჩვეულებრივი ნიჭი, ენერგია და გაბედულება პოდპ. გიორგი დოლიძისა. მან საჩქაროთ სანგრები გაამზადებინა, უბრძანა არ ესროლათ, სანამ თვით არ ანიშნებდა.

რაზმი მტრის შესახვედრათ გაემზადა და ოსმალთა ჯარიც ოჩხამურს მოადგა. წუთიერი მდუმარება ჩამოვარდა. ოსმ. ლაშქარი შეეცადა გადმოსვლას, მაგრამ ტყვიისმფრქვევლებით და თოფით ძლიერი სროლა აუტეხეს. მოულოდნელი სროლის გამო თავზარდაცემული ოსმალონი, ვინც კი გადარჩა, გარბოდა. ძნელია თუ რამდენი დაიხოცა პირველ შეტაკებაზე, მაგრამ დიდძალი კი დაეგო მიწაზე. შემდეგ კვლავ დიდი სროლა აუტეხეს ჩვენს რაზმს ოსმალოებმა, მაგრამ ზიანი ვერ მიაყენეს. სროლა იყო ზარბაზნებით, „პულემიოტებით“ და თოფებით. დოლიძე, „ოკოფიდან“ „ოკოფზე“ დარბოდა, პატრონებს არიგებდა. ოსმალნი გამოვიდენ თუ არა მინდორზე, დოლიძისვე განკარგულებით დაიწყეს საშინელი სროლა. იქვე დაეცა ოსმალთა პირველი ხაზის ჯარი. გადარჩენილები გარბოდენ. ოსმალთა ჯარმა დამხმარე ძალები მიიღო და კვლავ განაახლეს ბრძოლა თხრილებიდან, მაგრამ ჩვენი რაზმი დუმილით შეეგება დოლიძის გაფრთხილების გამო. ბრძოლა მტრის მიერ განვითარდა. მარჯვნივ და მარცხნივ ალყას არტყამდენ. სროლა კი რაზმისაგან ძნელი იყო, რადგანაც მოწინააღმდეგე ჩასაფრებულ ადგილებიდან ისროდა და იწევდა წინ. რაზმისთვის გადარჩენის კითხვა აღარ არსებობდა.

— „ბიჭებო, ტყვია აღარ გვაქვს, თავს ვუშველოთ!“—გაისმა დოლიძის ხმა და ამ ხმაზე სანგრებიდან გამოიშალა ოსმალონი, დასძახეს:

— „ჰაალაა! ჰაალააა!! (ურაა) და შტიკებით გამოსწიეს.

— „აბა გააჩაღეთ ცეცხლი“!—გაისმა მეორე ხმა დოლიძისა. ოსმალებს დიდი ზარალი მიადგა, მაგრამ კვლავ განახლდა ბრძოლა.

მათ სცადეს სასიმინდეზე ტყვიისმფრქვევლის ატანა, მაგრამ სასიმინდე ჩვენი რაზმის ტყვიისმფრქვეველმა დაანგრია.

ოსმალთა ჯარმა შესძლო ხეზე ტყვიისმფრქვეველის ატანა, რაიც დროზე ვერ შენიშნეს და ჩვენი რაზმის თხრილებს ხიდან აუტეხეს სროლა.

ამ სროლის დროს მოჰკლეს რაზმის 9 წევრი, 18 დაიჭრა. რაზმის ხელმძღვანელ გ. დოლიძეს თავში მოხვდა ტყვია. მან დაიძახა:

— „ხელმძღვანელობას ვაბარებ ამას და ამასო“.

სროლა გაგრძელდა. სიბნელე მოახლოვდა. დოლიძე წაიყვანეს, მაგრამ მან გზაში დალია სული.

5 აპრილიდან დაწყებული ბრძოლა განვითარდა და დამთავრდა 8 აპრილს ოსმალთა სასტიკი დამარცხებით.

ამ ომის შესახებ ბევრი საინტერესო მასალებია...

20 მაისს საღამოს ზემოხეთში მივედით.

გულგატეხილობას, უიმედობას, შიშს, უნდა ითქვა, ღრმათ აქვს ფეხი გადგმული და ხშირათ მოგვესმოდა დამაღონებელი ხმები...

ზემოხეთი ერთათ ერთი საზოგადოება აღმოჩნდა გურიაში, სადაც სკოლაში მეცადინეობაა.

21 მაისს ზემოხეთის მიტინგის გათავების შემდეგ ნანეიშვილისეულის საზოგადოებაში წავედით. ღამდებოდა, როცა სკოლის ეზოში მიტინგი გაიხსნა. ეს იყო უკანასკნელი საზოგადოება გურიისა და უკანასკნელი საუბარი ხალხთან. ეს კრება იყო კიდევ მეტი დამაფიქრებელი, ვიდრე ამაღლებისა.

22 მაისს ჩვენ მწარე ფიქრებით გავშორდით გურიას...

დაღონებული გამოვეთხოვეთ...

ბევრი რამ ვნახეთ, ბევრი რამ ვიხილეთ, ბევრი რამ ამოვიკითხეთ გურიის უცნაურ ცხოვრების ტრაგიკულ ფურცლებიდან...

ის მოგზაურობს ნარ-ეკლით მოფენილ სახიფათო გზაზე და რაც უნდა დროებით შავბნელი ძაძით შეიმოსოს ის, მომავალი მაინც მისია.

ანანია.

ტყვე ჩვენი ჯარისკაცები

(1 აპრილს ბათუმში ტყვედ ჩავარდნილნი ფერშლები და სანიტარები).

(დასასრული)

სერგო კონსტ. გაბელაია, ალექსანდრე გ. ჯალაღანია, ვარლამ ტ. კვინიკაძე, ნოე დ. ჯაყელი, იესე ექ. დოლიძე, ნოე მ. ჯიჯიეშვილი, ერმილე გ. ჯინჭარაძე, ვენიამინ ევტ. ჯანელიძე, ანდრია ონის. პირტახია, გიორგი ლ. როპაიაკი, ვლადიმერ ივ. გრიგოლია, იორდანე მ. ფადაჰკორია, გრიგორი მ. გეგიაძე, ვარლამ ილ. მახათაძე, პარმენ კ. კირია, ანთიმო ივ. ძიმისტარიშვილი, ზაქარია კ. გურგენიძე, გერმანე მ. დობორჯგინიძე, იროდიონ დ. კვაჭაძე, აკაკი ექვ. ხოჯალია, მიხეილ ს. კვაჭაძე, კონსტანტინე მ. საბახტარიშვილი, ერმილე გ. დადიანი, აკაკი სამ. გოგიბერიძე, იასონ ზ. გოგიტიშვილი, ლიომიდე მ. ხოჯალია, იაკინთე დ. კვაჭაძე, ივანე ლ. კვაჭაძე, აგაბო ივ. მოდებაძე, ვასილი ე. ამბროლაძე, ტერენტი ალ. ბოხვერაძე, ალექსანდრე გ. პიპინაშვილი, არტემ კ. ჭყონია, ნიკოლოზ დ. ნაცვლიშვილი, თეოდორე გ. ხახუა, ოლიფანტე მ. ბიბინეიშვილი, პროკოფი გ. გაბედავა, დიომიდე გ. გაბედავა, ალექსანდრე არ. ჩოჩუა, ილაკრი ბ. ჩოჩუა, მელიტონ გ. გონეშვილი, ილიკო ან. ჩიჩუა, გიორგი ჩიგოგიძე, ევგენი ივ. ნინუა, ალექსანდრე მ. ხარებავა, ივლო ვ. კორიპაძე, რაფიელ გ. მოსეპაიშვილი, ანანი ალ. მჟავანაძე, შალვა ფ. სიხარულიძე, ნიკოლოზ გ. ხაბაშვილი, სერგია ს. კურტაძე, ალისტრო გ. კოტრიკაძე, ექვთიმე ფ. კალანდაძე, სილოვან ლ. რამიშვილი, ამვროსი რ. რამიშვილი, ამბერკი მ. რამიშვილი, ილია ალ. რამიშვილი, გრიგორი იასონის ძე იობაიშვილი, ვასილი ვლ. იობაიშვილი, გრიგორი დ. ნადირაძე, ლავრენტი ს. ჩიხლაძე, ივანე ლ. ბოკოვენკო, გიორგი ილ. გაფრინდაშვილი, გალაქტიონ იაგორის ძე იობაშვილი, გიორგი ლ. კაციტაძე, არტემ ს. გოგინაშვილი, ივანე ალ. ტყემალაძე, გიორგი ალ. ნერგაძე, შალვა ნ. ნერგაძე, ვლადიმერ გ. სულაქველიძე, გრამიტონ მ. ფრემიძე, ივანე იოს. ჩუბინიძე, ალექსანდრე გ. სულაქველიძე, ილარიონ ნ. სინატაშვილი, აკაკი ვლ. მიხაილოვი, ვასილ აფ. ტუსკია, პანტელეი აფ. ტუსკია, ვლადიმერ კ. კინწურაშვილი, კონსტანტინე ნ. დავითაშვილი, ვლასა ფ. კოპლატაძე, ალექსანდრე კ. ჯორბენაძე, ვასილი დ. ხარებავა, გიორგი ლ. თანდილაშვილი, პორფილე შ. ლომჯარია, გაბრიელ გ. ჯაში, ვასილი ლ. ჯაში, პარმენ პ. ლლონტი, გიორგი ს. ცინცაძე, ბარნაბა კ. ლომთათიძე, აკაკი გ. კობეშავიძე, აკაკი ვ. ბარბაქაძე, ალექსანდრე ს. თორაძე, იპოლიტ ს. მახარაძე, ილარიონ პ. დოლიძე, ნიკოლაი ლ. თხილაშვილი, მოისეი მ. ვოლოხი, ივანე რ. ჩირაქაძე, დავით დ. თხილაიშვილი, თეოფილე ივ. ქლენტი, ყარამან ეს. სადრაძე, კირილე კ. კეკელიძე, იესე კ. სიმაიშვილი, მანასე ვ. სალუქვაძე, სევერიანე გ. ჯამაძე, კონსტანტინე ვ. იესელიანი, პეტრე ილ. ბაშეშვილი, ანდრია ვ. ნაცვლიშვილი, არჩილ ამ. მაჭარაძე, ილია იოს. კავთელაძე, თადეოზ ტ. კავთელაძე, იოსებ ბ. ჯღარკავა, დიანოსე ივ. თოდუა, გერასიმ კ. კეკელია, ვასილ ეს. ცინცაძე, შალვა მ. კალანდაძე, გერმანე ლ. გიორგაძე, ნესტორ ნ. გიორგაძე, ექვთიმე გ. ცინძე, ნიკიფორე ტ. სადრაძე, ვლადიმერ გ. სოსელია, იოსებ ნ. თოხაძე, გიორგი კ. ძნელაძე, ალექსანდრე ნ. ბუაძე, შალვა ონ. მოდებაძე,

ვლადიმერ გ. კუპატაძე, იპოლიტე [illegible]. სარალიძე, გრიგორი ი[illegible]. გუჩუა, ნიკოლაი გეგოევ. გომართელი, პეპკო ს. გაბაძე, დავით შ. თავართქილაძე, ალექსანდრე ვლ. მგელაძე, სიმონ ლ. პარკიშაძე, პლატონ პლ. გოგოტიშვილი, გიორგი არტ კურციკიძე, ივანე იაგ. ვასაძე, პეტრე გ. მელქაძე, ამბერკი ს. უკლება, ივანე ზ. მაჭავარიანი, ივანე ერ. დარახველიძე, ტარიელ ნ. დანელია, ბაგრატ გ. კარაია, მოსე ნ. კვაჭაძე, ანდრია პ. კალაძე, ივანე ტ. ბაზმაძე, გიორგი სიმ. ნოზაძე, ვარლამ ასლ. მოზაძე, მალაქი ლ. ტაბატაძე, დომენტი ს. შანიძე, ანდრია პ. შავლაძე, პოხომ ოქრ. კემოკლიძე, ისაკი ფ. ფირცხალავა, კალისტრატე ფ. ნოსელიძე, ალექსანდრე გ. მინდიაშვილი, პეტრე მ. ზირიკიძე, ნიკოლოზ არშ. დქელლა, ალექსანდრე პ. პანასტ, პოლიკარპე ლ. გიგეჭკორი, გიორგი ალ. ხოჯაშვილი, ივანე მურზ. ციმაკურიძე, არტემ ივ. დოხნაძე, შალვა მურ. მიქაძე, გერმანე პ ჯანგველაძე, ვლადიმერ ან. ხაჯალია, კაპიტონ დიმ. ჯოჯუა, რაჟდენ მელ. ჯანგველაძე, დიმიტრი პ. ბახვა, დიმიტრი ანტ. თაგვარელი, ნესტორ დიმ. ჯანგველაძე, ეპიფანე კონსტ. ჯანგველაძე, ონისიმე კონ. ჯანგველაძე, პოლიკარპე ტ ჯანგველაძე, ვასილი ე. ლოგაშვილი, გიორგი იაგ. ლოგაშვილი, ვასილი სემ. მიქაძე, მიხელ დავ. კვესაძე, გრიშა ყარ. ახალაძე, კაპიტონ ახალაძე, ივანე სოლ. ღლონტი, დათიკო ო. კვინიხიძე, აკაკი ნიკ. ლორთქიფანიძე, ბიკენტი ლ. ავალიანი, მიხაკო სიმ. კვაჭაძე, გალაქტიონ ტ. თავართქილაძე, აკაკი ტ. თავართქილაძე, აკაკი ასლ. ჟორდანია, ლაშა სიმ. თავართქილაძე, ანდრია დ. ჟღენტი, პორფილე გ. მურვანიძე, კირილე ალ. ტატანიძე, ილია გ. ჯაში, დათიკო გაბ. ჯიბლაძე, მიხაკო ს. კვარაძე, ვლადიმერ პავ. ბაქანიძე, კოლია დ. ჯალაღანია, დათიკო ივ. ჩხიკვაძე, ვასიკო ივ ბახტაძე, დათიკო ივლ. [illegible]ძე, ლუკა მოს. მეჩენეშვილი, შალვა ვის. გვენცაძე, იპოლიტე მალ. თავაძე, გიორგი ს. დვალიშვილი, ნიკოლოზ. გ. კვიჩიძე, ვიკტორ მიხ. [illegible]ლანია, დავით პ. სართანია, კოსტა ოქრ. მიქიაშვილი, აბესალომ ამბ. კობალაშვილი, დომენტი პ. გოგიშვილი, დომენტი კ. გუგუშვილი, კირილე ბეს. ცინცაძე, ონისიმე აქვს. მეგენაშვილი, გიორგი ალ. ჩხაიძე, ვლადიმერ ტ. კვარაია, მირიან გ. ლოლუა, ნიკოლოზ პლ. თებზაძე, მიტროფანე ზ. ბუაძე, ალექსანდრე ზ. ბუაძე, ივლიანე ს. ზაქრაძე, რაჟდენ აბრ. ლაგიძე, ალექსანდრე ანტ. ბოლქვაძე, ვლადიმერ მ. გულაძე, არტემ ზ. [illegible]უბლაძე, მაქსიმე სტ. პაცაცია, ნესტორ იას. ჩუბინიძე, პეტრე იას. აბრამიშვილი, ისუპ. იოს. კეკეჯანოვი, გიორგი ნესტ. კალანდაძე, ზაქარია ფილ. კალანდაძე, ვალერიან ერ. გეგენავა, გრიგოლ ზ. ეზიაშვილი, ლეონტი რ. სხატლაძე, ივანე თედ. მგელაძე, კოსტა დიმ. მჟავია, დიმიტრი ელ. ცქვიტინიძე, ბარნაბა კ. ჩხეიძე, გიორგი ივ. კვანტალიანი, გერმანე იაკ. კობერიძე, ნიკოლოზ დ. თოფურია, იონა კონ. აბაკელია, არჩილ დავ. ავალიანი, დათიკო ნ. გამცემლიძე, სერგო ივ. ნიკურაძე, ბაგრატ ზურ. ქურციკიძე, გრიგოლ კოსტ. დავითულიანი, სარდიონ ალ. მდივანი, კოტე იუს. კანდელაკი, ივანე სპ. ვაჩეიშვილი, გაბრიელ კ. გიგოშვილი, აკაკი მოს. შენგელაიშვილი, აკაკი ალ. ჩიჩილაშვილი, სარდიონ ჟორდანია. **დაჭრილი.** პარმენ ასათიანი, აკაკი ყიფიანი, კოსტა იაკობიშვილი. **დაკარგული არიან** ზაქარია ს. კვაჭაძე, აკაკი ქუთათელაძე, მელქაძე, ცქვიტინიძე.

პროვინცია

ს. ურიათ-უბანი (თელავის მაზრა) მოხალისეთა მომზადებამ და თელავში სამხედრო უფროსთან გამგზავრებამ თითქმის ერთი კვირა გასტანა. შიგა და შიგ ერივნენ არა საიმედო პირებიც და ეწეოდენ აგიტაციას: თუ ყველანი წამოვლენ 18 წ. 40 წლამდე, მაშინ ყველანი წავალთო, თუ არადა ფეხს არ მოვიცვლითო. ბევრი ლაპარაკის შემდეგ მოიწვიეს კრება. ამ კრებაზე აირჩიეს 6 ძველათ ნამსახური პირისაგან ერთნაირი კომისია, რომელსაც დაავალეს: ჩვენ, რომელნიც წავალთ ჯარში თქვენ გევალებათ, რომ ჩვენი მშობლები და ცოლშვილი უზრუნველყოფილნი იყვნენ ყოველივე გაჭირვებისაგანო. კომისია ყველა თხოვნებს ღებულობს და მოუწოდებს: ოღონდ წადით, დაიცავით ჩვენი თავისუფლება და ჩვენი მიწა-წყალი და ჩვენ ვეცდებით, რომ თქვენი ოჯახები დავაკმაყოფილოთ. ყველა კეთილ საიმედო პირების დარიგებას ბნელი ძალების აგიტაციამ გადააჭარბა. სავალდებულოთ გახადეს, რომ ყველა შეძლებულ ოჯახებს შეეწირონ გადასახადი. ამ გადასახადზე დიდი უარი განაცხადა კომისიამ. ბევრი ყოფილან ჯარში, ჩვენც ვიყავით, მაგრამ არავის ჩვენგანს მაგისთანა სისულელე არ ჩაგვიდენია. ბევრი ილაპარაკა ადგილობრივმა კომისარმა გიორგი კვირიაშვილმა, რომ ვინც წასასვლელნი ხართ, წადით, ნუ შეაწუხებთ თქვენსავე ძმებს, თქვენს მეზობლებსო, მაგრამ მას ცემაც კი დაუპირეს. შემოეხვივნენ გარს და აბა გადვიძეხ ბოლოზე (ეს ალაზნის პირია) ჩქარა, სადაც ცხვარია, თორემ შავს დღეს დაგაყენებთო. კომისარი ძალათ წაიყვანეს ბოლოზე ცხვრების მოსაყვანათ და დანარჩენები შეუდგენ შეწირული პურის, ღვინის, არაყის და სხ. შეგროვებას. მოიყვანეს ორი ძროხა, ღორი და მაშინვე გამოსჭრეს ყელები: ამას თელავში წავიღებთ და იქ ერთი კვირა გვეყოფაო. ამოიყვანეს ცხვრებიც, ძროხები და ღორი უკვე დაკლულნი. მოაქუჩეს 8 ცხვარი, 2 ძროხა, 1 ღორი, 16 ჩაფი ღვინო, 4 ვედრო არაყი, პური ბლომათ და ფულიც. შეუდგენ ქეიფს, ისადილეს და დიდის ხვეწნით კომისარმა მოუწოდა: აბა, წასვლის დროა, საცაა მატარებელი ჩამოივლისო. ნადავლი ადრე გაგზავნეს ურმით, თითონაც ასწიეს წითელი დროშა და გაუდგენ გზას, მაგრამ ისეთი სროლა ასტეხეს შუა სოფელში, რომ სოფელს ეგონა—ეს არის ლეკები შემოგვესიაო. ბევრი დავიდარაბის შემდეგ 265 კაცისაგან 140 კაცი ძლივს ჩავიყვანე თელავში და იქაც ბევრი დამემალაო,—სთქვა კომისარმა. ერთს ძროხის პატრონს თავადიშვილს თელავში ეჩივლა კომისართან და ამან ცუდი გავლენა იქონია ხალხზე. აი ასე ერთგულათ მიდიან ზოგიერთი კახელები სამშობლოს დასაცველათ.

დამსწრე.

ნიგოითი (გურია). 24 მაისს მოხდა მთელი საზოგადოების არა-ჩვეულებრივი სასწრაფო კრება. განსახილველი იყო: საკითხი მობილიზაციის შესახებ, აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა და აგრეთვე გლეხთა საბჭოების, რომელიც ბათუმის და ოზურგეთის დაცემის შემდეგ დაიშალა აქ, მილიციონერების დაქირავება და დახმარება ომში გაწვეულთა ოჯახებს. პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კალე ჟღენტი. მოხსენებიდან ირკვევა, რომ საზავო მოლაპარაკება განსაკუთრებით ცუდ პირობებში ხდება, ოსმალეთის დელეგაცია აყენებს ისეთ ულტიმატუმს, რომლის დაკმაყოფილება ჩვენის მხრით ნიშნავს ჩვენს სამუდამოთ გადაშენებას და გადაგვარებას. ის მოუწოდებს კრებას ახალი მობილიზაციის ცხოვრებაში გასატარებლათ ყოველივე ღონე უნდა ვიხმაროთ, ვინაიდან დღეს არა ხვალ მოსალოდნელია ჩვენს მახლობელ ფრონტებზე ზარბაზნების გრიალი. ხალხი დამშვიდებით შეხვდა ასეთ საბედისწერო კითხვას და რამდენიმე შეკითხვების შემდეგ გამოიტანეს შემდეგი განაჩენი: ნიგოითის საზოგადოების შეერთებული კრება აუცილებელ საჭიროებათ თვლის დაუყონებლივ მოხდეს მობილიზაცია როგორც ჯარისკაცების, ისე ცხენების, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ყოველივე ზომებს, რომ ეს მობილიზაცია საჩქაროთ ჩატარდეს. შემდეგ კრება ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტის წევრებს და გლეხთა საბჭოს. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე დაწესებულებაში სასურველი პირები იქნენ არჩეული და ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოებაში უეჭველიეთ შემოჭრილ ანარქიასთან და პროვოკატორებთან ბრძოლაში ახლათ არჩეული პირები შესაფერ ენერგიას გამოიჩენენ. კრებამ აგრეთვე იმსჯელა მილიციონერების დაქირავების შესახებ და დაადგინა: მოისპოს მორიგეობით გამოსვლა მილიციონერებისა და დაქირავებულ იქნას მუდმივი კაცები. მათ ჯამაგირი გადაიდოს ადგილობრივ სასურსათო თანხიდან მხოლოდ ერთ თვეს, სანამ მდგომარეობა გამოირკვევა. ჯარში გაწვეულთა ოჯახების დახმარების შესახებ კრებამ დაადგინა: თითეულმა სოფელმა მოაწყოს თავიანთ სოფლებში მეომართა ოჯახების დახმარება ისე, როგორც ეს მოსახერხებელია ტეხნიკურათ. აღსანიშნავია ერთი თვალსაჩინო ნაკლი. იმ დროს, როდესაც დღევანდელ კრიტიკულ მდგომარეობის ანგარიშის გასაწევათ და ჩვენი აზრის გამოსათქმელათ კრებას იწვევენ ზოგიერთი პიროვნებები იმის მაგივრათ, რომ ხელი შეუწყონ კრების მუშაობას, პირიქით, ხელს უშლიან ხმაურობით და სხ. ამასვე სჩადიან ზოგიერთი მანდილოსნებიც. მაშინ, როდესაც მამაკაცებთან ერთათ უნდა იყვნენ ისინიც ცხოვრების ფერხულში ჩაბმული. საჭიროა შეიგნონ, რომ დღეს სეირნობის და დროს ტარების დრო არ არის.

თოფკა.

ახალქალაქი (გორის მაზრა). ბნელმა ძალებმა აქაც მოინდომეს გამოსვლა. მაგრა ზომები საჩქაროთ იქნა მიღებული და მათი „გეგმები“ ჩაიშალა. გლეხკაცობის დიდმა უმრავლესობამ მათი ხელმძღვანელ რევოლიუციონურ ორგანიზაციებით სასტიკათ დაგმო 9 მაისს „ბოლშევიკების“ გამოსვლა ს. ახალქალაქში. 21 მაისს შედგა მთელი რაიონის აღმასრულებელ კომიტეტებისა და გლეხთა საბჭოების წარმომადგენლების ყრილობა, რომელზედაც დაისვა და განხილულ იქნა მრავალი საჭირ-ბოროტო კითხვები. ყრილობამ, სხვათა შორის, იქონია მსჯელობა 9 მაისს მომხდარ ამბების შესახებ და შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: „ახალქალაქის რაიონის აღმასრულებელ კომიტეტებისა და გლეხთა საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობამ, მოისმინა რა მოხსენება 9 მაისს ახალქალაქში მომხდარ მიტინგის შესახებ, აღიარებს, რომ ხსენებული მიტინგი იყო უკანონო და არ გამოხატავდა მთელი რაიონის გლეხთა სურვილებს; მან ერთგვარი არევ-დარევა შეიტანა ჩვენს შორის და კინაღამ გამოიწვია გლეხთა შორის შუღლი და მტრობა. ამიტომ, ყველა იმ დადგენილებებს, რომელიც გამოიტანა იმ მიტინგმა, ყრილობა ცნობს უკანონოთ და ჩვენი საერთო ინტერესების წინააღმდეგ. ყრილობა სრულ ნდობას უცხადებს ამხ. კ. კაციაშვილს და ყველა იმ ბრალდებებს, რომელთაც უეცი პირები უყენებენ მას, ყრილობა თვლის საზიზღარ ჭორათ და ცილისწამებათ“.

X.

წერილი რედაქციის მიმართ

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით გავაგებინო ქვემო გურიის საზოგადოებას, თუ რა პირობებში და როგორ შევასრულეთ ჩვენ მათი დავალება. კითხვა ეხება ვლადიკავკაში სიმინდის ყიდვას.

იანვრის უკანასკნელ რიცხვებში ბახვის საზოგადოებამ, მე და ვასო ჭელიძეს, წინადადება მოგვცა წავსულიყავით ვლადიკავკაზში, გვეყიდა სიმინდი და მოგვეტანა კიდეც. ჩვენ დიდი ყოყმანის შემდეგ ვიკისრეთ ეგ ძნელი საქმე. როცა ეს გაიგო ოზურგეთის სასურსათო კომიტეტმა, მათაც გვთხოვეს გვეყიდა მათთვისაც სიმინდი, რისთვისაც მოგვცეს სათანადო მოწმობა. ფული კი შეიტანეს თფილისის სასურსათო მინისტრთან 90 ათასი მ. ბახვმა კი პირადათ ჩვენ ჩაგვაბარა 54113 მანეთი. ჩვენ, სანამ ვლადიკავკაზში წავიდოდით სიმინდის საყიდლათ, შევუერთდით თფილისის სასურსათო კომიტეტს, რადგანაც ჩვენ გავიგეთ და დავრწმუნდით, რომ ცალკე მუშაობა, სიმინდის ყიდვა, გადმოტანა, ფულების წაღება და სხვა ძნელი და შეუძლებელი იყო.

ვლადიკავკაზში ჩვენ ჩავედით 2 თებერვალს და შევუდექით მუშაობას ქალაქის სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელ განსვენებულ დალაქიშვილთან, იმ პირობით, რომ ხვედრი წილი ჩვენთვის უნდა მოეცა.

აპრილის დამლევამდე ჩვენ ვიყიდეთ სხვადასხვა სოფლებში ორას ვაგონამდე სიმინდი, რის გადმოტანას ჩვენ ვფიქრობდით რკინის გზით, ან ზღვით, მაგრამ სამწუხაროთ შექმნილი გარემოების გამო ეს აღარ მოხერხდა და სიმინდის გამოგზავნაც ერთობ დაგვიანდა. ამას ზედ დაერთო ყოვლად პატიოსანი და ენერგიით სავსე, თავდადებული ადამიანის დალაქიშვილის ვერაგულათ სიკვდილი, რამაც კიდევ უფრო გააძნელა და გაახანგრძლივა საქმე.

განსვენებული დალაქიშვილის შემდეგ, ჩვენ ვმუშაობდით ქალაქის სასურსათო კავშირის წარმომადგენელ წერეთელთან, რომელსაც დაპირების თანახმათ ნაყიდი 200 ვაგონიდან უნდა მოეცა ჩვენთვის 25 პროც. ანუ 50 ვაგონი.

სამხედრო გზით მე ჩამოვიტანე მცხეთაში წერეთლის განკარგულებით 12 ვაგონი, რომელიც მინდოდა ერთად გამეგზავნა დამშეული გურიისათვის, მაგრამ სასურსათო მინისტრმა, სააკიანმა, ამის ნება არ დამრთო და დღეში აღმითქვა მხოლოდ თითო ვაგონი. მე ბევრი ვეცადე სხვადასხვა პირების დახმარებით, რომ პირველათ მოეცათ თორმეტივე ვაგონი, რისი ღირსიც ვიყავი, რაც აუხსნეს მას წერეთელმა და არდიშვილმა, რომ ჩვენ სიმინდის ყიდვაზე დიდი ტანჯვა მიგვიძღოდა.

თან გურია უკიდურეს დღეში მყოფი საჩქაროთ საჭიროებდა დახმარებას, მაგრამ ვერაფერს გავხდით, რის გამო იძულებული შევიქენით გაგვეგზავნა დღეში მხოლოდ თითო ვაგონი. დღემდი გაიგზავნა სხვადასხვა სადგურებზე გურიის სასურსათო კომიტეტის სახელზე ცხრა ვაგონ ნახევარი. სიტყვიერი პირობის თანახმად, თუ გზა არ დაიკეტა ბოლშევიკების წყალობით, კიდევ უნდა მომცენ ორმოც ვაგონამდე. რაც მიღებისთანავე გამოგზავნილი იქნება გურიაში. ჩემი ამხანაგი ვასო ჭელიძე კი დღესაც ვლადიკავკაზში და მუშაობს ამ საქმეზე.

სიმინდი ნაყიდი გვაქვს ერთი მეორეზე 5 მ. 50 კ. 6 მანეთამდე. გადმოტანაში მცხეთამდე დაიხარჯა ფუთზე 12 მანეთი. ამნაირათ სიმინდი გაცილებით მეტი დაჯდა, ვინემ ჩვენ ვფიქრობდით, არ ვიცით აგრეთვე სასურსათო კომიტეტი თავის ხარჯს რამდენს იანგარიშებს. ამნაირათ ბახვის და ოზურგეთის გამოტანებული ფული იყიდის დაახლოვებით მხოლოდ ათ ვაგონს. რაც შეეხება დანარჩენი ფულის გადახდას მპირდება გურიის დამხმარე კომიტეტი, რომელიც თფილისში არსებობს და რომელმაც დახმარება გამიწია ამ საქმეზე.

აფრასიონ ღლონთაიძე.

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა მოვახსენო ახალქალაქის კომისარს ა. ბოლდანოვს, რომელმაც დაუფასებელი ამაგი დაგვდო მთელი ახალქალაქის ქართველობას იმით, რომ, როცა 20 მაისის რიცხვებში თათრებმა გაარღვიეს სომხების პოზიცია სოფელ კარწახთან (30 ვერსზეა ახალქალაქიდან) და მთავრობამ გამოსცა ბრძანება სახელმწიფო დაწესებულებათა და ხალხის გახიზვნაზე მაზრის საზღვრების გარეთ, ბოლდანოვი გაიჭრა დუხაბორიაში, ჩამოიყვანა 70 ფურგონამდე და მშვიდობიანათ გამოგვისტუმრა საქართველოსკენ.

ახალქალაქის ქართული გიმნაზიის დირექტორი

ვ. როსტომაშვილი.

ანგარიში

რ. ს.-დ. მ. პ. გურიის კომიტეტისა 1917 წლ. 1 მაისიდან 1918 წლ. მაისამდე (ერთი წლის).

შემოსავალი:

	საწევრო.	საარჩევნო
ოზურგეთი	198—07	1209—25
შემოქმედი	150—00	940—50
გურიანთა	162—67	20—00
ნატანები	174—00	1757—00
ბახვი	280—45	992—00
ლიხაური	295—00	500—00
ჩოხატაური	282—	—
ნანეიშვილისოული	45—00	140—00
ჯვარცხმა	111—40	266—00
ერკეთი	100—00	200—00
ამაღლება	218—93	235—50
ზემოხეთი	205—00	370—00
ასკანა	265—00	250—00
ბასილეთი	100—00	400—00
სურები	249—26	703—50
ლანჩხუთი	120—00	1433—95
ჩიბათი	224—00	300—00
ნიგოითი	200—00	268—10
აცანა	110—00	300—00
ჯურუყვეთი	63—50	100—
ძიმითი	120—	400—
ჯუმათი	118—	180—
აკეთი	220—	502—
სუფსა	230—	300—
ჩოჩხათი	120—	200—
ჯამი.	4362—28.	11967—80

ლექციებიდან და წარმოდგენებიდან	2408—70
მაისობიდან	493—28
შემოწ. ადგილობრივ და ფრონტ.	286—25
საანგარიშო წიგნების გაყიდვით	210—
საწევრო წიგნაკების გაყიდვით	795—
თავდაცვის გურიის კომიტეტიდან სამხედრო ხარჯების დასაფარავათ	5000—
სულ	9193—23

მთელი წლის შემოსავალი უდრის 25,523—31

გასავალი:

მგზავრობა პარტ სიეზდებზე, თათბირებზე, გურიის და ქობულ. სოფ.	2621—72
დამფუძ. კრების საარჩევნო ხარჯები	3116—10
საოლქო კომიტ. დამფ. კრების % %	4350—00
პროპაგანდა-აგიტაცია	980—00
საოლქო კომიტ. საწევ. ფულ. % %	2127—95
იარაღის შეძენა და გადმოზ. ოზურ.	5027—50
გვარდიის ხარჯები	628—90
საწევრო წიგნაკების	2239—85
ანგარიშის საწარმოებელი წიგნების	252—25
ლიტერატურა	156—58
საკანცელარიო	373—03
ინვენტარი	41—
ჯამაგირი საქმის მწარ. და მდივანს	600—
დახმარება მუშ. ტ სალ. საბჭ. ტ გიმნაზ.	250—
დახმარება ავადმყოფ ამხანაგს	100—
„ მეორე ამხანაგს	16—
წვრილი ხარჯები	118—73
ძველი ვალი	57—50

მთელი წლის გასავალი უდრის . 23,057—11

15 მაისს 1918 წ. გადავიდა კასაში 2466—20

ეს ფულები აბარია კომიტეტის ხაზინადარს ამხ. ვანო ბეგლარის ძეს ღლონტს.

კომიტ. მდივანი **მიხ. რამიშვილი.**

ჩვენი ფოსტა

ვარდენ ჩხაიძეს. თქვენს წერილს არ ვბეჭდავთ, რადგან უმჯობესი იქნება წარუდგინოთ თქვენი საბუთები სასამართლოს, რომელიც თქვენივე სიტყვით უნდა შესდგეს.

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი. სახ. საბ. არს. ქართ. წარმ. მპარ. წრე. ხუთშაბათს 30 მაისს 1918 წ. წარმოდგენილი იქნება

ყაჩაღები

ტრ. 5 მოქ. შილლერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა. **მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნი ვ. მარგველაშვილი, ბ.ბ. გ. ანაშვილი, ა. ბადრიძე, ბერიძე, ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი, ა. თავდგირიძე, ვ. მამაჯანოვი, ა. იმედაშვილი, ს. რომანიშვილი, სულაყაია, კობახიძე, ალ. შანშიაშვილი და თანამშრომლები. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი 10 კ-დან 54 კ-მდე. ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღ. 6—8 საათამდე. შემდეგი წარმოდგენა 9 ივნისს. რეჟ. კ. შათირიშვილი, რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე.

ქართ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია.

დავკარგე ბიქტორ ყარამანის ძე მახარაძემ პირადობის დამამტკიცებელი მოწმობა, მოცემული საზღვაო როტის „კამანდირის“ მიერ, რომელსაც დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ვსთვლი გაუქმებულათ.

ფოთიდან დაბა ოჩემჩირისაკენ მგზავრობის დროს **დავკარგე** ვადიანი ბილეთი წიგნაკი ოზურგეთის სამაზრო საკრებულოსაგან მოცემული ილიკო გლახუნის-ძე კილაძის სახელზე. მპოვნელს ვთხოვ ფოსტით დამიბრუნოს შემდეგ მისამართით: ფოთი, წიგნის კიოსკი გ. ქადეიშვილის, გადასაცემათ წითელ-გვარდიელ ილიკო კილაძეზე.

დავით ოქროპირის-ძე ძაგნიძე ამით ვაცხადებ პატივცემული საზოგადოების საყურადღებოთ, რომ სოფელ ვანში ([illegible]) [illegible] მიმდ. წლის 6 ს აპრილს ბაზრობის დღეს მე დავკარგე ტყავის საფულე, რომელშიაც მქონდა ბაქოს კავკასიის ბანკის ჩეკი 80000 მანეთისა, გადმოგზავნილის ქუთაისის ბანკში ჩემს სახელზე ამასთანავე ბანკის წერილი 1[illegible]0 მ. ფული და სხ. ქაღალდები. მნახველს ვსთხოვ გადმომცეს მხოლოდ ბანკის ჩეკი, ხოლო ფული და საფულეც თვითონ დაიტოვოს და ამასთანავე ჩემგანაც მიიღებს კიდევ დამატებითი საჩუქარს. მისამართი: Ст. Самтреди сел. Вани Давиду Окропирову Дзагнидзе.

ექიმი უკლადნიკოვი

შინაგან და საბავშვო სნეულებიან ავათმყოფთ იღებს ყოველ-დღე დილ. 10—11 საათამდე და საღ. 5—6 საათამდე. მისამართი: დიდიმთავრის ქუჩა № 67 (კიროჩნი ქუჩ. კუთხე).

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

ექიმი ნ. ა. ფოფხაძე

მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ საღამოს 5—7 საათამდე.

გრაფის ქუჩა № 8. მონასელიძის ბინა.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებითავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმბოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი ვ. ვ. ძიდიაშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დილის 1—2 საათამდე.

ექიმი დ. ი. ჟორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებობა. ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა [illegible] ქ. № 6 (დიდუბე). ტელეფონი 14—37.

ექიმი ვ. ზ. ვაფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე. ვერანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და მას საჟი. მისამართი: მოსკოვის ქუჩა № 11.

ექიმი ბ. ლონხინი

ყოფილ იასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს თვალის ტკივილების ავადმყოფებს დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

დ ხაჩხერეში ექიმის თანაშემწე შ. ზ. ლაშხი

იღებს ავადმყოფებს, უკეთებს კანქვეშ ნემსებს ციებ-ცხელებიანს, სისხლ-ნაკლებიანს და სიფილისიანს უკეთებს მასაჟს, უცრის ყვავილს, უხვევს ჭრილობებს და ათაშაგს. მისამართი: რკინის გზის სადგურთან აბრამიშვილის სახლებში.

იქვე ექიმის თან. ქალი მ. პ. ზაზარინა-ლაშხი ღებულობს ავადმყოფ ქალებს და აძლევს დარიგებას.

ექიმი ა. დ. ციციშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქ. № 14.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 118, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი ვ. ზ. მუხაძე

იღებს სალოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; [illegible] საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილის. ტელ. 5—77.